# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 63 შაბათი, 20 მარტი 1910 წ. № 63

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ღამის საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცელ და ამხ.—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ზ. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დაბეჭდვი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს უკან არ ინახება ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მეთხრობები. პირადად მოლაპარაკება მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან საღამოდღევის 3 საათამდე. ადრესი ... 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი ... N 12.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

§§§§§§ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს აქვს კვირეული§§§§§§

## სურათებიანი დამატება

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს **8** მან. **50** კ., ნახევარი წლით—**4** მან. **80** კაპ., ერთი თვით—**80** კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური** ◆——
——◆ **დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

******ხელის მომწერთა საყურადღებოდ******

კანტორა აცხადებს, რომ გაზეთის ყოველ მიუღებლობაზე ხელისმომწერმა უნდა აცნობოს ხოლმე, რათა ყურადღება მიაქციოს გაზეთის წესიერად მიღებას.

„დროების" კანტორა ღიაა ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ.

ადრესი რედაქციისა: Тифлисъ, редакція „Дроэба", И. С. Агладзе.

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 29 მარტს, **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა** გამართავს წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება:

## ხათაბალა

კომედია 4 მოქმ. გ. სუნდუკიანცისა.

ნატალიას როლს შესრულებს **მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა**, ხამფერასას—**ნ. გაბუნია-ცაგარლისა**, კარაპეტასას—**კ. დ. ყიფიანი**, ისაიასას—**ვასო აბაშიძე**.

რეჟისორი **ვ. აბაშიძე**. (4—2)

## ქართული თეატრი

**შაბათს, 3 აპრილს, წარმოდგენილი იქნება:**

## გმირის საფლავი

ვოდ. 1 მოქ. აწყურელისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარელი, ტ. აბაშიძე და ბ-ნი ვ. აბაშიძე.

II

## საკონცერტო განყოფილება

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი არტისტი ქალი **კოლოტოვისა**, ბ-ნნი **ევლახიშვილი**, **ივანე სარაჯიშვილი** და **პალცევი**.

სხვათა შორის შეასრულებენ: 1) კოლოტოვისა და სარაჯიშვილი ორკესტრით დუეტს ოპერა „რიგოლეტტოდან"; 2) სარაჯიშვილი ორკესტრით არიას ოპერა „კარმენიდან"; 3) ევლახიშვილი ორკესტრით—არიას სურათის წინ) ოპერა „ბალ-მასკარადიდან"; 4 სარაჯიშვილი ორკესტრით—არიას ოპერა „მარგალიტის მაძიებლებიდან"; 5) ევლახიშვილი—არიას ოპერა „დონ-ჟუანიდან".

ამავე საღამოს ბ-ნი **სარაჯიშვილი** პირველად შეასრულებს ორკესტრით **არაყიშვილის** ახალ ოპერიდან „**შოთა-რუსთაველიდან**" მგოსნის არიას.

ყველა ზემორე ნახსენები ნომრები სარაჯიშვილის მიერ ქართულად იქნება შესრულებული.

**ბილეთები გაიყიდება თეატრის კასაში**

წარმოდგენისა და კონცერტის მოთავე **ი. კარგარეთელი**.

**დასაწყის სწორედ 8 საათზედ.** (5—ნ.—4)

**ევგენი პეტრეს ძე გეგეჭკორი** (სახელმწიფო სათათბიროს წევრი), **ოლღა ფილიპეს ასული გეგეჭკორისა**, თავადნი **ავქსენტი, კონსტანტინე, გრიგოლ ხახუს ძენი და კნ. ესმა მანუჩარის ასული, ვალერია გიორგის ასული და ეპრაქსია სარჩინოს ასული ფალავები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას: პირველი—უძვირფასესი დედის, მეორე დედამთილის, მესამენი—საყვარელ დის და მეოთხენი—მულის

## მართა ხახუს ასულის გეგეჭკორისას.

პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს შვიდ საათზე თავის ოჯახში სოფ. მარტვილში. გამოსვენება კვირას, 21 მარტს, 3 საათზე. დაკრძალვა ნახარებოუს მონასტერში. (1—კვ.—1)

## ვიტოლდი ფლორიანის ძე ვორონოვსკი

15 მარტს, დილის 12 საათზე, გამხნევებული და დამშვიდებული წმიდის ეკკლესიის საიდუმლოებით, მიიცვალა, რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა, მეგობართ და ნაცნობთ **ფილომენა სტეფანეს ასული ვორონოვსკისა, სტეფანე პავლეს ძე და მართა ზაქარიას ასული ფეიქაროვები** შვილებითურთ—პირველი თავის საყვარელ და დაუვიწყარ მეუღლის, დანარჩენნი სიძისას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღამოს 6 საათზე; გამოსვენება შაბათს, 20 მარტს, დილის 9 საათზე (გენერლის ქუჩა, საკუთარი სახლი) რომის კათოლიკეთა ეკკლესიაში და იქიდან საფიჩხიის სასაფლაოზე. კერძო მიწვევის ბარათები არ დარიგდება. (2—კვ.—2)

## გამგეობა „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა"

ამით აცხადებს, რომ წელს ამხანაგობას აქვს შეძენილი საგანგებოთ დაკვეთილი და წარსულ წლებში გამოცდილ **აბრეშუმის ჭიის თესლი ძმ. პასხალიდის** ფირმისა.

მსურველთ შეუძლიათ შეიძინონ თესლი შემდეგ ადგილებში:

1. **ს. კუხში**—ამხანაგობის სამმართველოს ფარდულში; 2. **ბათუმში**—თვით მეთესლეს წარმომადგენელ მანუილიადისთან და მათე რუხაძესთან; 3. **ქუთაისში**—კანტორა „**იმერეთში**" და კიწმარიშვილის თესლეულობის მაღაზიაში; 4. **ახალ-სენაკში**—ვარლამ ჩაჩიბაიასთან; 5. **სამტრედიაში**—პორფილე ქეიშვილთან და აგრეთვე ქუთაისის მაზრის ყველა დაბებში და ლეჩხუმში. (6—კვ.—4)

## სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შ-ბი ქუთაისში

ამით აცხადებს, რომ მათ მიიღეს განსაკუთრებითი უფლება გაყიდვის რამდენიმე წლით საუკეთესო ხარისხის **ცნობილი ფირმის ხ. ს. ხრისტოდულიდის აბრეშუმის თესლისა**, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ მათ საკუთარ სავაჭროში ქუთაისში. რადგანაც თესლი შემზადებულია საგანგებოთ ქუთაისის გუბერნიის ჰავაზე, ამიტომ მყიდველთ უნდა მიაქციონ განსაკუთრებითი ყურადღება კოლოფზე ქართულ ნაწერს და ბეჭედს სავაჭრო სახლი ი. გოკიელოვის შვილებისას. (45—151—33)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და სამშობიარო განყოფილებით.

ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს, ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე გ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.- დღ. ... ხას. 1—2 ს. დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.

**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ... ორშ., ოთხშ., და პარ. $10^{1/2}$—11 ...

**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 ს.

**კარშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

**მაღლაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.

**მანსვეტოვი გ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., დღე, 9—11 ს.

**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველდღე 12—1 ს.

**მუსხელიშვილი ვ ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2 2-ნახ. ს.

**ფირალოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე

**პაპოვი ვ. ა.** ქურ., ყელის და ცხვი., ყო. დღე გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.

**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.

**სოზოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (200—ნ.—136)

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. გაჩაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

**ი. გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.

**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ. 2—2½ ს. თვალისა.

**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.

**ე. გ. ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 2 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა- ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—299)

**ექიმი ა ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (უ)

**ექიმი დ. ახვლედიანი**

იღებს ავადმყოფებს. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. საღამოს 5—7 საათზე. ელისაბედის ქ. N 92. წლ

**ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე**

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.

**ექიმი ე. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ბელინსკის ქუჩა, N 18 (ყოფილი კირპიჩნაია). (0—86

**ექიმი კბილისა რომანიშვილი-დგებუაძისა**

იღებს ავადმყოფებს 2—6 საათზე. პლომბის გაკეთება, კბილის ამოღება და ხელოვნური კბილების ჩასმა ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. მოსწავლე ბავშვებს დაკლებულ ფასებში.

ბინა: ავჭალის ქუჩა, N 34. (50—ნ.—43

**ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი**

იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი**

იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნის ქ., № 9. (უ)

**ექიმი შ. მიქელაძე**

**იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ.** საღამოს 5—6 საათზე. ავლაბარი, კაბგეროვის ქუჩა N 17, პროვიანტის მაღაზიის პირდაპირ. ტელეფონი N 816. (0—54)

**ექიმი კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბორონის ქუჩა, N 14, სახლი დემიდოვისა, (0—586—393)

**ექიმი ქუთაისში ფ. ი. გასნევსკი**

იღებს ავადმყოფებს **შინაგან სნეულებათა** და ბებიაობისას დილით 11—1 საათამდე, საღ., 5—7 საათამდე. კაზაკოვის ქ. N 13. ღარიბებს უფასოდ. (25—კვ.—11)

**ექიმი გაბ. ი. გოკიელოვი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფებს დილით 9—12 ს. და საღ. 5½—6½ ს. ვენერიულ ავადმყოფების მიღება, (ელექტრონის საშუალებით ბუშტის და საშარდე მილის გასინჯვა საღამოს 6½—8 ს. ტუბერკულიოთ წამლობა ჭლექიანებისა, ელექტროტერაპია, ელექტრონის ვიბრაციის მასსაჟი. ალექსანდროვის ქ., საკუთარი სახლი. (50—კვ.—30)

**ექიმი ვასილ წერეთელი ქუთაისში**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს. საღამოს 4—6 საათზე. ივანოვის ქ., მოხე ქიქოძის სახლი. (0—უ.—144)

**ქუთაისში**

**კბილის ექიმი ა. ა. ბუტულოვისა**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. და საღამოთი 4—7 ს. მოსწავლენი იხდიან ნახევარს. გიმნაზიის ქ., ა. თუმანოვის სახლი, ბულვარის პირდაპირ. 25—კვ.—3

**ექიმი სპეციალისტი ქ. ქუთაისში გ. დ. ბეთანოვი**

მიიღებს სიფილისით, ვენერიულის და კანის სენით ავადმყოფებს. აფთიაქის და კლუბის ქ. ქ. კუთხეში N 24/2 ყოველდღე დილის 9—12 ს. და საღამოს 5—8 ს. (25—ფ.—18)

**კაბინეტი ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—127)

**ქუთაისის გუბერნატორის ნებართვით**

## ილია ბახტაძე

წაიკითხავს საჯარო ლექციებს **ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ოზურგეთში, სამტრედიაში, ნაოღალევში, ჭიათურაში** შემდეგ თემებზე: „ბატონყმობა და დანიელ ჭონქაძე", ჩვენი ახალგაზრდა პოეტები, ვარლამ რუხაძე და მისი პოეზია."

ლექციების წაკითხვის დრო ყოველ ქალაქში და დაბაში საზოგადოებას ეცნობება აფიშებით. (ა—კვ.—3)

## ვეძებ

მასწავლებელს გიმნაზიის მეორე კლასის მოწაფისათვის. ორბელიანთ ქ., № 16. (1—188—1)

**სახალხო უნივერსიტეტი**

ზუბალაშვილის სახალხო სახლში კვირას, 21 მარტს, გაიმართება ორი ლექცია:

**ნ. ე. ერმოლაევი** წაიკითხავს მეორე პოპულიარულ ლექციას

## პოლიტიკურ ეკონომიაზე.

**ი. ბაევი** წაიკითხავს ლექციას გენრიხ იბსენის

## ბრანდზე

პირველი ლექცია დაიწყება დილის 11 ს., მეორე—12 ნახ. საათზე.

შესასვლელი ფასი 5—10 კ. ბილეთები კასაში იყიდება. (2—1)


# დემოკრატიის გაერთიანება

4.*)

მკითხველი ადვილად მიხვდება, რომ ყოფნა არ ყოფნის საკითხს რომ ვგულისხმობ, სახეში მაქვს უკვე გამასხარავებული ჩვენში ტერიტორიის შერჩენის და დაცვის საკითხი. დიაღ, გამასხარავებული. აღმოჩნდნენ მახვილი გონების „მეპრესეები", რომელნიც თავიანთ მასხარობის საგნად გაჰხადეს ეს საკითხი. მაგრამ ამას ეხლა თავი დავანებოთ და ვსთქვათ ის, რომ ამ საგნის შესახებ ფიქრი და წერა წინადაც, რევოლიუციის წინა ხანებშიაც იყო. ილია ჭავჭავაძე აქცევდა მას ყურადღებას, „ცნობის ფურცელიც" ეხებოდა მას. და იმ თავითვე სოციალ-დემოკრატებმა, იმ ხანებში „დასისტებმა", ყალბი პოზიცია დაიჭირეს ამ საკითხის გადაჭრის დროს. „კვალს" ძალიან მოსდიოდა გული, როდესაც ქართველ გლეხებისა და მუშების ინტერესების დაცვაზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი. სხვა ტომის გლეხს და მუშას რაღას უშვრებითო? თუმცა სხვა ტომის მშრომელ ხალხს არავინ ემტერებოდა, მაგრამ საქმე ისე იყო დაყენებული, ვითამ განზრახულია ამ ელემენტების განდევნა ჩვენი ქვეყნიდან, განზრახულია ნაციონალური ბრძოლის გაჩაღება და ერთმანეთში წაკიდება სხვა და სხვა ერის ხალხისა... განვლო ხანმა. რევოლიუციაც განვიცადეთ. დაგვიდგა ჟამი დაფიქრებისა. „ისარ-ამირანი" განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ტერიტორიის საკითხს. ს.-დემოკრატიულ წრეებშიაც მითქმ-მოთქმა და ლაპარაკია ეროვნულ საკითხის გადასინჯვის შესახებ. გაჩნდნენ ავტონომისტ ს.-დემოკრატები. ორტოდოქსებმაც კულტურულ ავტონომიისაკენ გადადგეს ნაბიჯი. ბ-ნმა ან-მა აღიარა, ეროვნულ საკითხის საფუძველი ენა და ტერიტორიააო.. ამავე ხანში სოც.-დემოკრატიულ პრესაში დაიბეჭდა რამდენიმე წერილი მიწის საკითხის შესახებ. ამ წერილების გამო ვსთქვი იმ ხანებში გაზეთ „ამირანში", რომ მიწის შესახებ დღეს ს.-დემოკრატები იმასვე ამბობენ, რასაც ამბობდა ილია ჭავჭავაძე ამ ოცი წლის წინად. მაგრამ საქმე ისე მოგვარდა, რომ ის, რაც წინად უფრო თეორიული ხასიათის საზრუნავი საგანი იყო, დღეს მრისხანე სამკვდრო-სასიცოცხლო საკითხად გამხდარა. ჩვენმა გაზეთმა დაინახა თუ არა ეს საფრთხე, მთელი თავისი ყურადღება ამ საგნის გამორკვევას მოანდომა უკანასკნელ წლის განმავლობაში. და მისი ცდა, ასე თუ ისე, უნაყოფო არ იყო. საზოგადოებრივი აზრი თითქოს გამოფხიზლდა და თითქოს მართლაც დაიწყეს სერიოზულად ფიქრი ამ საგნის შესახებ. ს.-დემოკრატები პირველ ხანაში გაჩუმებულები არიან. მათი პრესა „დუმით", სპარსეთის რევოლიუციით და ინგლისის ამბებით არის გართული. ტერიტორიის საკითხი ყურადღების ღირსი არ არის. მით უმეტესად, რომ იგი აღძრულია მოპირდაპირე ბანაკის პრესის მიერ. მაგრამ ხმაურობა ძლიერდება, „დროება" ჰბეჭდავს კარტას, საიდანაც ნათლადა სჩანს, რა გაიყიდა, რა იყიდება და რა გაიყიდება. სოფლელებიც თითქოს დაფაცურდნენ, მიწის შეძენის სურვილი გამოიჩინეს. „მომავალი„ ჰბედავს, არღვევს სიჩუმეს და დამშვიდებულ და დარბაისლურ კილოთი აღიარებს ფაქტს—მიწა ხელიდან გვეცლება, კარგი იქნება გლეხებმა რომ იყიდონ, ხოლო შეღავათიან პირობებში, იაფად და გრძელ ვადიან სესხის შემწეობითაო. ამასთან აფრთხილებს ხალხს, ნაციონალისტურ საფრთხეში არ გაებათ. „ნაციონალისტებს" ტერიტორია ბატონობისთვისს უნდათ და სხვა ამისთანა. ასე თუ ისე, მოწყალეობა მაინც მოწყალეობად დარჩა. ნება დართეს გლეხებს მიწების შეძენაზე. იმაზე თავს არავინ იმტვრევდა, თუ რანაირად უნდა იყიდონ გლეხებმა მიწა, როცა ფული არ არის. „რაც შეიძლება იაფად და გრძელ ვადიანის სესხითო". კეთილი, მაგრამ სად ისესხონ, ვის მიმართონ? ამაზე ლაპარაკი მეტია. „დუმა, დუმა და დუმა", მეთაური წერილები საზოგად. პოლიტიკის შესახებ, ისევ „დუმა" და ისევ „დუმა". ამასობაში საკითხი უფრო გამწვავდა. „დროებამ" მოუხშირა ცნობების გამოქვეყნებას. გამოირკვა, რომ მიწის შეძენის ნიადაგზე მეზობელ სოფლებს ჩხუბი მოსდით ერთმანეთში, მიწა ცოტაა, გაჭირვება დიდია, ფული კვლავ არ არის, ბევრგან შეგნებაც არ არის. და ერთ მშვენიერ დღეს „ახალ სხივში" ამ საგნის შესახებ მეთაურიც კი წავიკითხე. იმ ადგილას, სადაც „დუმაზეა" ხოლმე ლაპარაკი, ჩვენს საკუთარ მწვავე საკითხების შესახებ გაჰბედეს ლაპარაკი. ხატი, რჯული! გაზეთი არიგებდა გურულ გლეხებს, ერთმანეთში ნუ ჩხუბობთ, მორიგებით გაათავეთ საქმე, თორემ თქვენს ჩხუბს გარეშე ძალა გამოიყენებს და თვითონ ჩაიგდებს მიწას ხელშიო. „სხივის" მხრივ ეს უკვე დიდი პროგრესი იყო, პირდაპირ მოქალაქობრივი გაბედულება. სთქვეს ის, რასაც „ნაციონალისტები" ამბობენ. მეტსაც მოგახსენებთ. „ახალი სხივი" პრიორიტეტსაც კი გვეცილება. „ჯერ კიდევ ჩამი-ჩუმიც არ იყო მიწის საკითხის **დღევანდელსავით** გამწვავებაზე, ამბობს ბ-ნი წინწკალი, და არც რევოლიუციის მთლად დამარცხებაზე იყო **მტკიცე** აზრი შემდგარი, როცა ან-ი ეუბნებოდა გაზეთის ფურცლებზე გლეხებს, რომ რევოლიუცია **დამარცხდა** და მიწების მათ სასარგებლოდ კონფისკაცია **უიმედოა**; ამიტომ ის არკვევდა მეორე გზას მიწების შეძენისას და ეს განმეორდა **არა ერთხელ ჩვენი ბანაკიდანო**" (კურსივი ჩვენია). როგორც ხედავთ, აღარ ხუმრობენ. ჯერ ან-მა განუმარტა ყველაფერი, შემდეგ ამისა არა ერთხელ არკვევდა ხსენებული პრესა ამ საკითხს. ბატონი ბრძანდებით. ასე იყოს, ოღონდ „დუმით" თავს ნუღარ მოგვაბეზრებთ. ეროვნული პრობლემაც თქვენ წამოაყენეთ და დაწვრილებით გაარკვიეთ ის; დღეს კიდევ ტერიტორიის საკითხი. ალალი, ალალი! თუმცა აქ არ შემიძლიან არ მოვიგონო ერთი ფილოსოფოსის სიტყვები. ახალ თეორიას, ამბობს იგი, პირველ ხანებში სისულელედ აღიარებენ ხოლმე. შემდეგ მას იწყნარებენ, ხოლო ამბობენ, რომ იგი თავსამტვრევი საგანი არ არის და ცხადია, როგორც დღე. ბოლოს კი მას ისეთს დიდ ფასს და მნიშვნელობას აძლევენ, რომ ეს ახალი აზრი მათ მიერ არის აღმოჩენილიო.

მაშ ასე, ს.-დემოკრატიაც აღიარებს ტერიტორიის დაცვის საკითხს. პრიოპრიტეტობაზე დავას თავი დავანებოთ. საკმარისია ისიც, რომ ქართველს დემოკრატიაში ამ საგნის შესახებ ერთი აზრი ტრიალებს. ვამბობ ამას და თან ეჭვები მებადება.

*) იხ. „დროება" N 62.

ვისაც ტერიტორიის საკითხი სერიოზულ საგნად მიაჩნია, ის მასხარაობას არ დაიწყებს ამ საკითხის გარშემო. „ახალი სხივი" კი მასხარობს. და არ იცი, ვისთან გაქვს საქმე—ჯამბაზებთან თუ პასუხისმგებლობით გამსჭვალულ მწერლებთან. აი საბუთიც. ამას წინად „დროებაში" გ. ქ—ემ ის აზრი გამოსთქვა, რომ საჭიროა ეროვნული ბანკის დაარსება და ამ ბანკმა უნდა იზრუნოს არა მარტო შერჩენილ მიწა-წყლის დაცვაზე, არამედ უკვე დაკარგულის უკან დაბრუნებაზედაც. არ უნდა დავკმაყოფილდეთ თავის დაცვით, არამედ თავდასხმაზედაც უნდა ვიზრუნოთო, ე. ი. ბანკის საშუალებით დავიბრუნოთ უკვე დადაკარგული მიწებიო. თავდასხმაო?! და მორთეს ყვირილი: „მებრძოლი ნაციონალიზმი დღემდის „თავის დაცვის" მანტიაში გვეხვევნებოდა. დღეს კი „თავის დაცვით" აღარ კმაყოფილდებიან... მაგრამ ეს „ახალი ტერიტორია", რომლის დასაპყრობად ბ-ნი გ. ქ. იწვევს ჯარს, ხომ სხვას ეკუთვნის და ნებაყოფლობით, როგორც ვიცით, არავინ დაუთმობს თავის ტერიტორიას. მაშასადამე საჭირო იქნება—„ბრძოლა მედგარი, ბრძოლა შეუპოვარიო". საქმე ისეა გამოყვანილი, რომ ჩვენ სამრად ვემზადებით. საზღვრებს ვამაგრებთ და სტამბოლს და თავრიზს ვემუქრებით. ბანკის თაობაზე კრინტიც არ არის დაძრული. „სხვის" ინტერესების დარაჯები ფეხზე დგანან. ამ „სხვების" ქვალი ისე აწუხებთ ჩვენს გულუხვ მწერლებს, რომ ფულითაც კი ნებას არ გვაძლევენ დავიბრუნოთ ის, რაც გაჭირვების და ულონობის დროს გამოაცალეს ხელიდან ჩვენს დამშეულ ხალხს. სამართლიანობის მოციქულნი, ინტერნაციონალურ მშვიდობიანობის მქადაგებელნი „სხვისი" უფლების დარღვევით ღელდებიან და ჩვენ რომ სული გვძვრებოდეს და თავში რომ გვიფაჩუნებდნენ, ამის წინააღმდეგ თითს არ დასძრავენ. თავდასხმა! გაგონილა! რა თავხედობამდე მივიდა „მებრძოლი ნაციონალიზმიო"!

„მებრძოლი ნაციონალიზმი"! ტერმინიც საგულისხმოა. ჰნიშნავს რასმეს იგი თუ უშინაარსოა იგი, როგორც ბევრი სიტყვა, რომელსაც ხმარობენ ს.-დემოკრატები? „მებრძოლი ნაციონალიზმი" პოლიტიკურ ტერმინოლოგიით შოვინისტური და რეაქციონური მოვლენაა. მებრძოლი ნაციონალისტები არიან (**воинствующіе націоналисты**) პურიშკევიჩი და ძმანი მისნი. საფრანგეთში ერთ დროს დერულედი იყო მებრძოლი ნაციონალისტი, რესპუბლიკის მტერი, მილიტარიზმის და „რევანშის" მომხრე. პარიზელი მუშები გიჟს უწოდებდენ დერულედს. და სიმღერაც კი გამოიგონეს: „დერულედი შარანტონ-ტონ-ნესკე, დერულედი შარანტონ - ტონ - ტონ"! (ე. ი. დერულედი და საგიჟეთი,—საგიჟეთი, საგიჟეთიო) 1). მებრძოლ ნაციონალიზმს პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა რაიმე მნიშვნელობა და შინაარსი არა აქვს. ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ ქართველი სოციალ-დემოკრატები იმ ეროვნულ მოძრაობას, რომელიც სცდილობს ჩვენი ხალხი გადაგვარებისაგან გადაარჩინოს და მოუპოვოს მას შესაფერი პირობები კულტურულ განვითარებისათვის, აშკარაა, რომ „ამას" უწოდებენ „მებრძოლ ნაციონალიზმს" ე. ი. მარკოვებს და პურიშკევიჩების მაძღარა ველურებამდე აქვევითებენ მაღალ და წმინდა იდეალებით გამსჭვალულ მიმართულებას. ჰო, რა კარგი გამოდგა ეს სიტყვა „თავდასხმა", რა მასალაა მილიტარისტულ დაფარულ პლანების გამოაშკარავებისთვის! ახალ სხივს" ეკუთვნის დაფნის გვირგვინი ამგვარ დამსახურებისთვის. და რომ „მებრძოლი ნაციონალიზმი" მართლაც წარმოადგენს საფრთხეს საზოგადო მყუდროებისათვის, იგივე გაზეთი იძლევა ამის შესახებ ცნობებს. „მებრძოლნი" ამბობენ თურმე: „ჩვენ არა თუ ჩვენი საკუთარი ტერიტორია უნდა შევინარჩუნოთ, ახალიც უნდა დავიპყროთ. (თავდასხმა!) ჩვენ უნდა ავაგოთ საკუთარი ციხე-სიმაგრე, კოშკები. ჩვენ უნდა განვდევნოთ ყველა შემოსულები. ჩვენ უნდა დავაარსოთ ახალი ტიპის ბანკები. ჩვენ უნდა შევქმნათ ვაჭარ-მრეწველთა კლასი და უკუვაგდოთ რაღაც სოციალიზმიო". (№ 35).

ვაჭარ-მრეწველთა ამბავის შესახებ, რისამელთ ბელადებათ გინდა თუ არა ჩვენ უნდა გაგვხადონ, ბევრჯერ გვქონია საუბარი მკითხველთან. სოციალიზმის „უკუგდების" შესახებ ხშირად გვიბაასნია. მაგრამ ეს „თავდასხმა" და „კოშკები" კი რაღაც ახალი ხილია — დასვენებულ დროს შეგროვილ ენერგიის ნაყოფი იქნება. მართალია, რევოლუციის დროსაც იყო სურვილი „კოშკების" აგებისა, მაგრამ ის ფედერალისტურ პარტიკულარიზმის შედეგი და პეისტრობა იყო. დღევანდელი გეგმა თავდასხმისა კი უფრო სერიოზულია და მშვიდობიანობის დარღვევას გვიქადის!

ასე გაამასხარავეს ტერიტორიის საკითხიც. არ იცი, ყველა ამას რომ კითხულობ, ეს ხალხი აზროვნებს ოდესმე სერიოზულად თუ არა. არა იცი, მართლა აღონებს მას ეს საკითხი, თუ დროს მისდევენ და ჩამორჩენის შიშით იგონებენ მას. ერთის მხრივ თითქოს ესმით, რომ „მიწის მობილიზაციის პროცესს ჩვენში ზედ დაერთო ისიც, რომ მყიდველებათ გამოდიან უმთავრესად არა-ქართველებიო". მეორეს მხრივ კი, არ იცი, ეს გარემოება მათის თვალშიაც არის სამწუხაროა თუ არა. „მთელი ბურჟუაზიული ინტელიგენცია, ამბობენ ისინი, ამ გარემოებამ (რომ მყიდველები არა ქართველები გამოდიან) დიდ საგონებელში ჩააგდოო". ეს გავიგეთ, ვიცით. თქვენზე კი როგორ მოქმედობს ეს გარემოება? გაგდებთ საგონებელში, თუ საკითხი იმდ არა ღირს, რომ მაინც და მაინც თავი შეიწუხოთ მისთვის? თუ გაფიქრებთ, გვაჩვენეთ იქენი მოქმედების გეგმა. ბანკებს უარყოფთ. მაშ სხვა რაიმე საშუალება დაგვანახვეთ. ან იქნება ბანკზედაც ყაბული სთქვათ! არ ვიცით. ან იქნება დემოკრატიის შეკავშირება მიგაჩნიათ საჭიროდ? არც ეს ვიცით. ვიცით მხოლოდ ის, რომ ჩვენი მოწოდება არ გეჭაშნიკებათ და ყოველ ჩვენს წინადადებას უარჰყოფთ. ხოლო მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც ვამბობთ, რომ ქართველ დემოკრატიას ჰმართებს დღეს შორს მხედველობის გამოჩენა, პოლიტიკურ სიმწიფის და სიბრძნის გამოაშკარავება და ეს უნდა გამოისახოს მისი შეკავშირებით ტერიტორიის დაცვის ნიადაგზე.

ტერიტორიის საკითხი კი, დემოკრატიის შეგნებით, ორ ელემენტისაგან უნდა შესდგებოდეს; მისი მნიშვნელობა ორ მოსაზრებიდან გამომდინარეობს მისთვის. ტერიტორია საჭიროა აგრარულ საკითხს გადასაწყვეტად. როგორი აზრისაც გინდა იყავით ამ საგნის შესახებ, არ შეგიძლიათ დაივიწყოთ ის გარემოება, რომ რევოლუცია საქართველოში მიწის სივიწროვის ნიადაგზე გაჩაღდა. ხალხს, მაშასადამე, მიწა ესაჭიროება და ტერიტორია უნდა დავიცვათ იმიტომ, რომ გადავარჩინოთ ხალხი ეკონომიურ გაჭირვებისაგან, შევიწროებისაგან და შიმშილობისაგან. ტერიტორია გვესაჭიროება აგრეთვე როგორც საფუძველი და მატერიალური ნიადაგი ეროვნულ კულტურის ასაყვავებლად. ტერიტორია ჩვენს თვალში ეროვნული ერთეულია, რომელიც უნდა იყოს ხელუხლებელი. ამ ეროვნულ ერთეულის ნიადაგს არ უნდა გადავსცდეთ. და დემოკრატიის შემეცნებაში უნდა იყოს იგი მცნება მკვიდრად გამაგრებული.

ქართველ დემოკრატიის გაერთიანებას მოითხოვს დღევანდელი ისტორიული მომენტი. გაიგებს თუ არა დემოკრატია ჩვენს მოწოდებას, ეს, სხვათა შორის, იმაზედაც არის დამოკიდებული, არა შეიგნებს თუ სოციალ-დემოკრატია თავის დღევანდელ მოვალეობას და ისტორიის წინაშე პასუხის მგებლობას.

**არჩილ ჯორჯაძე.**

1) შარანტონში საგიჟეთია.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 მარტი.

### საზღვარ-გარედ.

**ბრესლავლი.** ეინბაუმ-შტრასსეს ქუჩაზე, ერთ სახლში გაზი აფეთქდა. შემთხვევით გამვლელს კარების ნატეხი მ ხვდა და თავი გაუჭეჭყა. სახლი დაინგრა. ჯერ ჯერობით სახლის ნანგრევებიდან ამოიღეს რვა მკვდარი და მძიმედ დაშავებული.

**ათინა.** სამხედრო ლიგის კომიტეტის წევრებმა ხელი მოაწერეს განაჩენს, რომლითაც ლიგა დახურულად არის გამოცხადებული. ამას გარდა განაჩენით ლიგის წევრები თავისუფალნი არიან 1909 წლის 15 აგვისტოს დადებულ პირობისაგან.

**ნიუ-იორკი.** „ნ.-იორკ-გერ."-ს პეკინიდან დეპეშით ატყობინებენ: ჩინეთის მთავრობამ ხუბეის და ხუნანის პროვინციებს ნება დართო შეადგინონ საზოგადოება კანტონ-ხანკოუს რკინის გზის გასაყვანად. ამის გამო უცხოეთის ბანკის წარმომადგენლებს კრება ჰქონდათ. კრებამ დაადგინა, შეეკითხონ ჩინეთის გარეშე საქმეთა მინისტრს, თუ რა მიზანი აქვს ამ ნებართვას და შემდეგ სთხოვონ თავიანთ მთავრობებს რომ ჩინეთის მთავრობაზედ გავლენა იქონიონ, რადგან ჩინეთის მთ ვრობამ და უცხოელმა კაპიტალისტებმა უკვე ხელშეკრულობა შეჰკრეს, რომლის ძალითაც ხანკოუ-კანტონის გზა უცხოელებმა უნდა გაიყვანონ.

**რომი.** ლუცცატიმ შეადგინა სამინისტრო. სამინისტროში შედიან: ლუცცატი-მინისტრ-პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრი, დი-სან-ჯიულიანო—გარეშე საქმეთა მინისტრი; ფანი—იუსტიციის, ცედესკო—ხაზინის, ფაქტი—ფინანსთა, გენერალი სპინგარდი—სამხედრო, კონტრ-ადმირალი ლეონარდი—საზღვაო, კრედირო—საერო განათლების, საკკი—საზოგადო მუშაობის და ჩიუფელი—ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი. მინისტრები დღეს დაიფიცებენ.

**სალონიკი.** 16 მარტს ოსმალეთ-ჩერნოგორიის საზღვარზედ სიოფელ ვინიცკის მცხოვრები გლეხები თავს დაეცნენ ოსმალეთის ჯარის-კაცებს. სროლამ ორი საათი გასტანა. არავინ დაშავებულა.

**კოპენჰაგენი.** ლანტტაგმა მიიღო 1910—11 წლის ბიუჯეტი.

**სოფია.** ბოლგარიის დეპეშათა სააგენტოს სიტყვით ტყუილია გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, ვითომ მეფე ფერდინანდს სტამბოლში ყოფნის დროს რუსეთის ელჩისთვის მიემართოს და ეთხოვოს მომიხერხეთ როგორმე, რომ მსოფლიო პატრიარქი საიდუმლოდ ვინახულოო და ვითომ რუსეთის ელჩს უარი ეთქვას.

**ვენეცია.** ტარნოვსკაიას საქმე. პეტერბურგელმა ჟურნალისტმა ტაბურნომ სთქვა: ვერ წარმომიდგენია, რომ პრილუკოვს ვისიმე მოკვლა მოეწყოს. რევოლიუციის დროს მოსკოვში პრილუკოვს რევოლიუციონერებმა დიდი ფული მიაბარეს და ეს მაშინ, როდესაც პრილუკოვი რევოლიუციონერი არ იყო. პრილუკოვმა მიბარებული ფული რევოლიუციონერებს დაუბრუნა, თუმცა აზრადაც არავის მოსვლია ფულის თხოვნაო. პრილუკოვი ცნობილი ნაფაცი ვექილი იყო და ამიტომ ბევრ ფულს იღებდაო. ტაბურნომ მოსამართლეებს უამბო ბორჟევსკის მოკვლის საქმე და აღნიშნა, რომ ტარნოვსკაია და მის ქმარი ცუდ განწყობილებაში იყვნენო. ოლგა კირიმენკოს სიტყვით, რომელიც ბავშვობიდან იცნობს ტარნოვსკაიას, ტარნოვსკაია ძალიან დაღონებული იყო, როდესაც კომაროვსკის მოკვლის ამბავი გაიგო. ტარნოვსკაიას მოსამსახურემ შეაქო ტარნოვსკაია, ხშირად მინახავს, რომ ტარნოვსკაია თავის დედას შესჩიოდა, ქმარი ცუდად მექცევაო. ერთხელ ჩემის თვალით ვნახე, რომ პრილუკოვმა ტარნოვსკაიას ფული მისცაო. პროკურორმა შენიშნა, რომ პრილუკოვმა მთელი თავისი ქონება ტარნოვსკაიას ზედ დაახარჯაო. ტარნოვსკაიამ უარჰყო ეს, მხოლოდ შემდეგ გავიგე, რომ პრილიუკოვი სხვის ფულებს ხარჯავდა და დახარჯული ფული დაუბრუნე, პრილიუკოვმა ეს ფული მასესხაო. დასასრულ ჩვენება ჩამოართვეს ლაქიას, რომელმაც ტარნოვსკაიას მამის სახლში 15 წელიწადი დაჰყო. ამ მოწმის სიტყვით ტარნოვსკაიას პატარაობიდანვე რაღაც განსაკუთრებული ხასიათი ჰქონდა და მისი ქმარი ლოთობასა და გარყვნილებაში ატარებდა თავის სიცოცხლეს.

### ჰაერში ფრენა

**რიგა.** დილით, ბოლდერაასიის კანდელიდან შეამჩნიეს ჰაეროპლანი. ჰფიქრობენ, ეს ჰაეროპლანი გაზეთ „დეილი გრაფიკი"-საა. „დეილი გრაფიკმა" ამას წინად ჰაეროპლანით რამდენიმე კაცი გამოგზავნა რუსეთის დასათვალიერებლად.

**კანნი.** რაიტის ჰაეროპლანით გაფრინდა პოპოვი. მიუხედავად იმისა, რომ ქარი ჰქროდა, პოპოვმა მშვენივრად იფრინა.

### რ უ ს ე თ ი

**კიევი.** ვინიცის ახლო 6 შეიარაღებული კაცი თავს დ ეცა მგზავრებს. ბოროტგანზრახველებმა გაცარცვეს მგზავრები, მძიმედ დასჭრეს ერთი მგზავრი და მიიმალნენ.

**რიგა.** პეტერბურგის სამოსამართლო პალატა შეუდგა 31 კაცის საქმის გარჩევას. ბრალდებით 1905 წელს ადიამიუნდის სოფლის საზოგადოებაში რევოლიუციონურ ორგანიზაციის და სამხედრო რაზმის შედგენა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ განიხილა ყაზანის საინტენდანტოს საქონლის ჩამბარებელ კომისიის თავმჯდომარის ჩიჟოვის, მისი ამხანაგის ილინის და 8 წევრის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდათ ქრთამების აღება. თავდაპირველად ამათი საქმე განიხილა ყაზანის სამხედრო სასამართლომ და მიუსაჯა სხვა და სხვა ვადით ტუსაღთა განყოფილება და ხაზინის სასარგებლოდ რამდენიმე ათი ათასი მანეთის გადახდა (თითოს 970 მანეთიდან 38,000 მანეთამდე). მთავარმა სამხედრო სასამართლომ უშედეგოდ დასტოვა საკასაციო საჩივარი.

სამხედრო და საზღვაო უწყებებმა საფრანგეთში გაგზავნეს ექვსი აფიცერი და ექვსი სალდათი. ესენი შეისწავლიან ჰაერში ფრენას.

**ნიკოლაევი.** ოლქის სასამართლომ განიხილა ჩრდილოეთ ბანკის კასირის საქმე. ბრალდებოდა 60,000 მანეთის გაფლანგვა. სასამართლომ ბრალდებულს გადაუწყვიტა უფლებათა ჩამორთმევა და წელიწად-ნახევარი სატუსაღო. ამას გარდა ბრალდებულს ოთხი წლის განმავლობაში პოლიცია თვალ-ყურს ადევნებს.

## დეპუტატების კ. ჩხეიძისა და ევ. გეგეჭკორის საყურადღებოდ

წავიკითხეთ გაზეთ „ახალი სხივის" მე-24 ნომერში მოთავსებული ბ-ნთ დეპუტატების, საყვედურის კილოთი გამოთქმული, წერილი იმის შესახებ, რომ ჩვენი საზოგადოების წევრნი საჭირო ცნობებს არ აწვდიან მათ სხვა და სხვა ადგილობრივ საკითხის გამოსარკვევად და მათ შორის პარნაუთელების საქმის გამო. ცოტა არ იყოს, გაგვაკვირვა ჩვენი დეპუტატების ასეთმა მოთხოვნილებამ: ჯერ ერთი ყოველგან ჩვენებურ საზოგადო საქმეებში არა თუ დამხმარე, ფაქტიურად თანამგრძნობელიც ძნელი მოსაძებნია, ხელის შემშლელი, მოწინააღმდეგე კი ბევრი, ამიტომ არავინ ჩვენში არ ამყარებს თავის ზნეობრივ მოვალეობის ასრულების იმედს სხვის დახმარება-თანამშრომლობაზე.

მერე უფრო გვაკვირვებს ის გარემოება, რომ თვით ბ-ნი ევ. გეგეჭკორი შემთხვევით იმ დროს ბრძანდებოდა სოხუმში, როდესაც გადაჭრილად იყო დასმული საკითხი ადმინისტრაციის მოხელეების მხრივ პარნაუთიდან მეგრელების განდევნის შესახებ. მე პირადად რამდენიმე კაცის თანადასწრებით ველაპარაკე დეპუტატ გეგეჭკორს უსამართლოდ დევნილ პარნაუთელების შესახებ. ამ საგანზე ბაასის შემდეგ, მეორე თუ მესამე დღეს, ვილაცაების გაპირებით თვით პარნაუთელი მეგრელები ხლებოდნენ ბ-ნ დეპუტატს თხოვნით. ევ. გეგეჭკორს ებრძანებინა, რუსულად დაწერილი თხოვნა წარმომიდგინეთ თქვენი გარემოების აწერითაო. მეგრელები ჩემთან მოვიდნენ ვედრებით: ბ-ნ დეპუტატის სახელზე თხოვნა დაგვიწერეო. მე პირველად კიდევაც მეწყინა ასეთი ფორმალურ-ბიუროკრატიული მოთხოვნილება დეპუტატის მხრივ, მაგრამ ვამართლებდი მაშინ ამ საქციელს მხოლოდ იმით, რომ ბ ნ დეპუტატს უნდოდა, მეგონა, დაწვრილებით ცნობების და დასაბუთებულ მასალის შეკრება ამ საქმ ს შესახებ, რომ მომზადებული წამდგარიყო, სადაც ჯერ არს. როგორც სხვა მოხელეების სახელზე უწერდი თხოვნას დევნილ მეგრელებს, ისე ბ-ნ დეპუტატის მისართმევადაც დაუმზადე ქაღალდი.

გავიდა დრო, ბ-ნი ევ. გეგეჭკორი ისევ ქუთაისსა და ტფილისში ბრძანდებოდა იმ დროს, როდესაც ჩვენმა გაზეთებმა ხმა ამოიღეს, და თითქმის ყოველ კვირაში იწერებოდა ალმაშფოთებელი ამბავი ამ უსამართლო საქმეზე. ცოტაოდენი დაკვირვება და სურვილი იყო საჭირო, რომ დეპუტატს იმ საკითხის შესახებ, რომელიც უნებლიეთად აღელვებდა ჩვენ საზოგადოებას, საკმაო ცნობები შეეკრიბა და პეტერბურგიდან არ დასჭირდებოდა ამბების შეტყობა. მაგრამ რა გაეწყობა. ჩვენი ხალხი არ არის განებივრებული ყურადღებით და მზრუნველობით, და იმისთვისაც მადლობელი უნდა ვიყოთ, რომ შორიდან მაინც გვაქცევენ ყურადღებას.

რაც შეეხება ბ-ნთ დეპუტატების მიერ დასმულ კითხვებს, ჩემის მხრით უნდა მოვახსენო შემდეგი:

1. სოხუმის ოლქში პარნაუთის ახლო მდებარე თავისუფალი ადგილები არის: ა) „ორი-წყალი" („Двуречie", 3—4 ათას დესეტინამდე სახნავ-სათესად და სამოსახლოდ გამოსადეგი. ეს ადგილები უჩვენეს თავიანთ სახლ-კარიდან განდევნილ მეგრელებს თვით ადგილობრივმა სახელმწიფო ადგილების ზედამხედველებმა, იმ აზრით, რომ სადმე დაებინავებინათ და საჩივრებისათვის თავი დაენებებინათ, მაგრამ ეხლა იქაც არ აძლევენ ბინას, თუმცა ორჯერ მიართვეს თხოვნა მეგრელებმა. არ აძლევენ ალბად იმიტომ, რომ ფიქრობენ—რაკი იოლად მოვიშორეთ თავიდან „ტუზემცები", განა ღირს ხელმეორედ მათი დაბინავებაო. თვით უახლოესი მოსახლეები პარნაუთზე არიან 5-დან ათი და ოცი ვერსის მანძილზედ. ეს ორი წყარო 30 ვერსის მანძილზე პარნაუთიდან.

მეორე ახლობელი თავისუფალი ადგილი რომელიც იმავე მიზნით აჩვენეს მეგრელებს რა მიზნითაც „ორი-წყარო", არის „ჰანდარა", 20—25 ვერსის მანძილზე. არის აქ 300—400 დესეტინა მიწა. იქაც დაჰპირდნენ, მაგრამ არ მისცეს ადგილი.

მესამე ადგილი „აც"-შია (აც-წყალია, მდინარე). აქ თავისუფალი მიწა არის 300—400 დესეტინამდე.

ჩვენ არ ვეხებით ბზიბის ხეობას, სადაც 20—30 დესეტინა მიწაა თავისუფალი. ესეც საკმაოდ ამტკიცებს იმ აზრს, რომ „ჩვენ გული გულობს" პარნაუთელებს არ აწყობინებდნენ [illegible] მიზეზით: სოხუმის ოლქში 100—200 ათასამდე დესეტინა მიწა მოიძებნება გამოსადეგი ახლად ჩამოსახლებულ ახალ-შენებისათვის.

2. ეხლა ვნახოთ, ვინ არიან ისინი, რა მდგომარეობაში მყოფი ბრძანდებიან ის მეზობლები, რომელთა ვითომდა მოსაწყობად აჰყარეს პარნაუთელები. უახლოებელესი მეზობლები არიან ისევ მეგრელები „ფშავი"-ს სოფლისა, 5 ვერსის მანძილზე. ამათთვის-კი, მოგეხსენებათ, რუსები თავს არ აიტკივებდნენ და არავის არ დაიმდურებდნენ; მაგრამ მათი მდგომარეობა, პარნაუთლებთან და სხვა ახალშენებთან შედარებით, ძლიერ კარგად არის: 10-15 დესეტინამდე მიწა აქვს თვითეულს.

უფრო მოშორებით 7-8 ვერსის მანძილზე არის სოფელი „ვლადიმიროვკა", რუსებით დასახლებული. ეს სოფელი უნდა იყოს მეგრელების მდევნელთა მზრუნველობის ობიექტი. აქაურებს აქვთ მიზომილი თითეულს არა ნაკლებ 10 15 დესეტინისა. ამ ხუთი წლის წინად მიწის მზომელი იყო იქ ზედ-მეტი მიწების გამოსაკვლევად და ამ „ვლადიმიროვკა"-ში მიწის მზომელმა აღმოაჩინა 80 დესეტინამდე ზედ მეტი მიწა, ჩამოუჭრა და გადასცა მონასტერს. ასეთ მდგომარეობაშია პარნაუთის მეორე მოსაზღვრე, 9-10 ვერსის მანძილზე მდებარე რუსების სოფელი „ჩერნოვკა". იქაურებსაც 10-15 დესეტინამდე მიწა აქვთ, ამათაც ზედ მეტი მიწა აღმოაჩნდათ და მიწის მზომველმა მოუჭრა და მიუზომა მონასტერს.

ყველაზე უფრო საყურადღებოა ის, რომ „ვლადიმიროვკას" და „ჩერნოვკას" მცხოვრებნი თავიანთ მიწებს იჯარით აძლევენ სომხებს, ბერძნებს, თათრებს თამბაქოს მოსაყვანად, იღებენ დესეტინაში 30-40 მანეთს, ე. ი. მიწის მფლობელობის — მებატონეების განცხრომას განიცდიან. ნაწილს თავიანთ მიწებისას მეგრელებსაც აძლევენ იჯარით სიმინდის დასამუშავებლად. პარნაუთელ მეგრელებს კი $2—2\frac{1}{2}$ დესეტანა ძლივს ჰქონდა სამუშაოდ თითოს. სულ სადაო ადგილი, რომლისთვისაც ამდენი ცოდვა დატრიალდა, არის 40—45 დესეტინა მიწა. ამით უნდა მოაწყონ მდგომარეობა ისეთ მებატონეებისა, რომელნიც იჯარით აძლევენ თავიანთ ზედ მეტ მიწას 30—40 მანეთად დესეტინას.

ყველა ამ ცნობების საბუთებით აღწერა შეეძლო ბ.ნ დეპუტატს ადგილობრივად, როცა აქ ბრძანდებოდა. ეხლა კი გვიან არის: პარნაუთელები აჰყარეს, დაუნგრიეს ქოხები, განდევნეს და მაწანწალებად გახადეს. ეხლა რამდენიც უნდათ იმდენი სიმართლე იკვლიონ. ან-კი რა სამართალს გადასჭრიან გლინკა-პურიშკევიჩები?!

**ნიკო თავდგირიძე.**

P. S. დასამტკიცებლად იმისა, რომ პარნაუთში დასახლებული მეგრელები მარტო ერთი წლის განმავლობაში არ იყვნენ იქ ჩამოსახლებულნი ვუგზავნი რედაქციას ორ-სამ კვიტანციას 1900—1901 წლებისას. ასეთი საბუთი ასზე მეტი მაქვს ხელთ, მაგრამ გამოგზავნის ფასად არ ღირს. **ნ. თ.**

## ახალი ამბავი

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ **ცეცხლი.** დეპეშათა სააგენტო იუწყება: „ქალაქ ზუგდიდის ნახევარი გადაიწვა. ცეცხლი მძვინვარებს და ჯერაც ვერ ჩაუქვრიათ".

✦ **მკვლელობა ქუჩაში.** 18 მარტს, საღამოს 8 ნახევარ საათზე, კონდრატენკოს ქუჩაზე ვიღაც ბო-

(„დროების“ ხვალინდელ სურათებიან დამატების შინაარსი: ლექსები ა. შანშიაშვილისა, ი. ევდოშვილისა, ი. გრიშაშვილისა, ?. თომაშვილისა და ს. ფაშალიშვილისა. „მდევი ეგოისტი“, მოთხრობა უალდისა. თარგ. ნამორაძისა; სურათები: „გაზაფხულის სიმღერა“, სურათი ინოსენტისა: „ლოცვა“, სურათი სერენდატ დე ბელციმისა და ორი კარიკატურა „ზაკავკაზიეს“ და „ტიფ. ლისტოკ“-ზე).

...ოტ განმზრახველმა სამჯერ რევოლვერი ესროლა და იქვე მოკლა 50 წლის კაცი, ალასი მექრაივაზოვი. პოლიციას გაუგია, რომ ეს მკვლელობა პირადი მტრობით ჩაიდინეს. პოლიციამ მკვლელობის ადგილას მიიყვანა დაგეშილი ძაღლები ლანზე და დიანა და შეუდგნენ მკვლელების ძებნას. ძაღლებმა დასუნეს მოკლულს და სისხლს. იქვე ხელად იპოვნეს ცარიელი გილზები პატრონებისა. დიანა დააბეს და ლანზე გაუშვეს. ძაღლი სუნვით გაჰყვა კაბგეროვის ქუჩას, მ-7 საპოლიციო ნაწილში. ძაღლი დრო და დრო შეჩერდებოდა ხოლმე. კაბგეროვის ქუჩაზე ძაღლი ერთს ლუდხანაში შევიდა, დასუნა [illegible] და ასტეხა ყეფა. მერე ძაღლი ლუდხანიდან გამოვიდა და გაექანა მინგრელსკი პოლკის ყაზარმებისაკენ. იქ ერთ ქუჩაზე სახლის ეზოში შევიდა, სახლს შემოუარა, მერე თვით სახლში შევიდა, ქუდი აიღო მაგიდიდან და ყეფა დაუწყო იქ მყოფ ერთ კაცს. ამ დროს პოლიციელებიც მივიდნენ და ეს უცნობი კაცი დააპატიმრეს. პოლიცია ლანზეს მოქმედებით არ დაკმაყოფილდა და დასარწმუნებლად, რომ ?გი არ შემცდარა, მეორე ძაღლი დიანაც გაუშვეს. დიანაც სწორედ იმ გზით წავიდა, რა გზითაც ლანზე. დიანამაც ყეფა დაუწყო დაპატიმრებულ უცნობ კაცს. ძაღლების შემწეობით მკვლელს ეძებდნენ 19 მარტს ნაშუაღამევის 3 საათამდე. გამოძიებას შეუდგნენ. დააპატიმრეს სულ სამი კაცი.

◆ **რკინის გზა ტფილისიდან კავკავამდე.** „ბაკუ“-ს პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: 23 მარტს საბოლოოდ გადასწყდება კავკასიის მთაზე ტფილის-კავკავის რკინის გზის ბედით.

◆ **ბოროტმოქმედების ალმოჩენა.** „რუსკ. სლოვო“-ს სიტყვით, ოდესაში ადმინისტრაციას აღმოუჩენია მთელი ორგანიზაცია, რომელიც ნავთსადგურის მუშებს ასახიჩრებდა და შემდეგ ფული გამოჰქონდა. ორგანიზაცია მოაწყეს ბერძნებმა და ქართველებმა.

◆ **ჟურნალისტთა საზ. ახალი წესდება.** ტფ. ჟურნალისტთა საზოგადოების ახლად შემუშავებული წესდება უკვე დაამტკიცა სათანადო მთავრობამ. ახლო მომავალში გამგეობა მოიწვევს საზოგადო კრებას წესდების გასაცნობად და მიმდინარე საქმეების განსახილველად.

◆ **საქველ-მოქმედო სალამო.** გუბერნატორმა ნება დართო ტფ. კათოლიკეთა საქველმოქმედო საზოგადოებას 4 აპრილს საარტისტო საზოგადოების თეატრში გამართოს სალამო თავის სასარგებლოდ.

◆ **კახეთის დილიჟნები.** კახეთისაკენ მიმავალმა მგზავრებმა კარგად იციან, რა უწესოდ დაჰყავს დილიჟნები თელავ-სიღნაღის ტრაქტის მოიჯარადრეს ედიგაროვს. ხშირად უვარგისი ცხენები გამოჰყავს, რის გამოც ზოგიერთ სადგურზე კარგა ხანი სჭირდებათ მგზავრებს ცდა. ტფ პირუტყვთა მფარველ საზოგადოების გამგეობას ყურადღება მიუქცევია ედიგაროვის ცხენებისათვის და შუამდგომლობა აღუძრავს სათანადო მთავრობის წინაშე, რომ უვარგის ცხენების გამოყვანისთვის სასტიკად დაისაჯოს ტრაქტის მოიჯარადრე.

◆ **პოლიციის ძველი იარაღი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ კარგა ბლომა ფული გადასდო პოლიციისთვის ახალ იარაღის შესაძენად. გამგეობას აზრადა აქვს პოლიციას ძველი იარაღი თითონ ჩამოართვას. რადგან გამორკვეული არ არის, ეხლანდელი იარაღი ქალაქმა შეიძინა თუ ხაზინამ, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, შეეკითხოს პოლიცმეისტერს, აცნობოს ვის მიერ შეძენილ იარაღს ატარებს პოლიცია.

◆ **კახეთის რკინის გზა.** „კავკაზ“-იდან გადმობეჭდილი გვქონდა, რომ ბელგიელ კაპიტალისტთა წარმომადგენელი ფლატტე კახეთის რკინის გზის გასაყვანად პირობით შეეკვრა დეპუტატთა საკრებულოსა. ეს ამბავი მართალი არ გამოდგა და ფლატტეს მხოლოდ მოლაპარაკება აქვს თავ.-აზნაურობის წარმომადგენლებთან.

◆ **რეფერატი.** დღეს, 20 მარტს, ბირჟის სადგომში საზოგადო კლუბი მართავს რეფერატს. რეფერატს წაიკითხავს ა. ი. მალხაზოვი შემდეგ თემაზედ: „ტეტმაიერისა და დე ანუნციოს გმირი ქალების ინდივიდუალიზმი“. რეფერატის შემდეგ გაიმართება ბაასი.

◆ **სურამის შუამდგომლობა.** ტფილისში ჩამოვიდნენ დ. სურამის დეპუტატები. ამ დღეებში გუბერნატორს წარუდგებიან შუამდგომლობით, რომ სურამი ცნობილ იქმნას სამაზრო ქალაქად.

◆ **წესდების დამტკიცება.** როგორც ვწერდით, ი. კარგარეთელი აარსებს საზოგადოებას ქართველ სიმღერების გასავრცელებლად. საგუბერნიო მთავრობას წესდება უკვე დაუმტკიცებია და საზოგადოებაც მალე შეუდგება მოქმედებას.

◆ **წყლის მილი ქუთაისში.** როგორც „ზაკ.“ გადმოგვცემს, 13 მარტს ქუთაისის გუბერნატორს პეტერბურგიდან დეპეშა მიუღია, რომ სამინისტრომ დაამტკიცა კანტრაქტი ქალაქსა და წყლის მილის გამყვანთა შორისაო. კანტრაქტი მხოლოდ მცირედ შეუცვლიათ.

◆ **„ზაკავკაზიეს“ შესახებ.** „ზაკავკაზიეს“ რედაქტორი თავ. გ. ამირაჯიბი სწერს, მართალი არ არის, ვითომ დეპუტატთა საკრებულოსთვის ფული მეთხოვნოს გაზეთისთვისაო.

◆ **ლატარია-ალეგრი.** წ.-კ. საზოგადოების გამგეობა ჩვეულებრივ სახალხო სეირნობასა და ლატარია-ალეგრის გამართავს წელს მაისის პირველ რიცხვებში.

◆ **გუბერნატორის დაბრუნება.** 19 მარტს გორის მაზრიდან ტფილისში დაბრუნდა გუბერნატორი ლოზინო-ლოზინსკი.

◆ როგორც გვატყობინებენ, ქ-ნ ნინო ყიფიანის მიერ ითარგმნება ქართულად და სექტემბერში გამოვა გასასყიდად გარიერტა ბიჩერ-სტოუს ცნობილი თხზულება: „ბიძია თომას ქოხი“. წიგნში 100-ზე მეტი სურათი იქნება ჩართული.

◆ კვირას, 21 მარტს, ავჭალის აუდიტორიაში ქ-ნი ელიავა გამართავს საუბარს „ცივ ქვეყნებზე“. დასაწყისი 10 საათზე. ამავე დღეს სამკურნალო საზოგადოების დარბაზში ქ-ნი ახალშენიშვილისა გამართავს საუბარს „კატაზე, ძაღლზე და ვეფხვზე“, ქ-ნი გონიევისა — „შალვას თავგადასავალი“. დასაწყისი 11 საათზე. ავლაბრის აუდიტორიაში ამავე დღეს ქ-ნი ბერიშვილი წაიკითხავს: „მადაროში მომუშავე ბავშვები“. დასაწყისი 11 საათზე.

◆ „მოსკოვის სასტუმროს“ პატრონმა ოლღა ქუთათელაძისამ პოლიციას განუცხადა, რომ 15 მარტს, ჩემს სახლში არყოფნის დროს, ჩემმა საყვარელმა გიორგი თვალაძემ 1900 მანეთის ნივთები მომპარა და გაიპარა ქუთაისის გუბ. სოფ. საჩინოშიო.

◆ 18 მარტს დღისით შუა ბაზარში დააპატიმრეს ადმინისტრატიულის წესით გადასახლებული და შემდეგ ნება დაურთველად დაბრუნებული ტფ. მცხოვრები ალექსანდრე ავაქოვი. პოლიციამ ამავე მიზეზით დააპატიმრა სპარსეთის ქვეშევრდომი აბას ყული ალასკერ ოღლი.

◆ ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა პოლიციის მოხელეებს, თვალყური ადევნონ და სავსებით დაიცვან ტფ. საბჭოს მიერ გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის საქონლის ბაკისა და კერძო ბაკების შესახებ.

## მოწერილი ამბები

**დ. ხონი.** კულტურულად ხონი დღითი-დღე წინ მიდის. რაც ხანი გადის, ხონს მით უფრო ემატება კულტურული დაწესებულებები: იხსნება სასწავლებლები, არსდება საზოგადოებები და სხვა. ეხლა ხონი ერთ გვარიან ნაბიჯის გადადგმას აპირებს წინსვლელობის გზაზე. ეს არის ხონის ქალაქად დამტკიცება. როგორც ბოქაულმა განაცხადა 7 მარტს სოფლის ყრილობაზე, ხონელებს უთხოვნიათ სენატორ ვატაცისათვის მისი აქ ყოფნის დროს ხონის ქალაქად დამტკიცება. მაშინ საზოგადოების თხოვნაზე სენატორ ვატაცის არაფერი უთქვამს. ორი კვირის შემდეგ კი ბოქაულ ფადავას მოწერილობა მოსვლია ვატაცისაგან. მოუწერნია, ხალხს უნდა ხონის ქალაქად დამტკიცება. თანხმობის განაჩენი შეადგინეთ სოფლელებს და გამოგზავნეთო. ყოველივე ეს სოფლის ყრილობაზე 7 მარტს ბოქაულმა აცნობა ხალხს. ხალხიც დასთანხმდა და მისცა განაჩენი. ამ საქმის წარმოება ხალხმა მიანდო მ. ბახტაძეს და მ. სანოძეს.

ხონი სხვა მრავალ სასწავლებელთა შორის არსებობს სოფ. ივანდიდის ორკლასიანი სასწავლებელი. რადგან ამ სასწავლებელში წინად მოწაფენი ცოტა იყო, ამიტომ ორ განყოფილებას ერთ ოთახში ასწავლიდა ერთი მასწავლებელი. ეხლა კი მოწაფეთა რიცხვმა იმატა და ორი განყოფილების მოწაფენი ერთ ოთახში ვერ მოთავსდნენ. აგრეთვე შეუძლებელი გახდა, რომ ერთ მასწავლებელს ორი განყოფილების მოწაფეებისათვის ესწავლებინა. ამისათვის მასწავლებელიც საჭირო იყო და სკოლისათვის ახალი ოთახის მომატებაც. ამ მდგომარეობამ აიძულა სასწავლებელი, რომ ოლქის მზრუნველისათვის მისი აქ ყოფნის დროს ეთხოვნა შემწეობა. ოლქის მზრუნველს, როგორც 7 მარტის სოფლის ყრილობაზე განაცხადა ამ სასწავლებლის გამგემ, გადაუდვია 1000 მანეთი. ამ ფულით ფიქრობენ ორი ოთახის მომატებას. რადგან სასწავლებელი საზოგადოებისაა, ამისათვის გამგემ განუცხადა ხალხს, ოლქის მზრუნველმა ამდენი ფული გადასდო, აირჩიეთ რამდენიმე კაცი ამ ფულის გამოსატანად და ორი ოთახის ასაგებად. ხალხი შეუგნებლად მოიქცა. რაც ჩასძახეს, ის ამოიძახა. ორ-სამმა ვაჟბატონმა, ჩასძახა—„ორი ოთახის აშენება მეტი დაგვიჯდება და ჩვენ კი ვერაფერს გავიგებთო“. ხალხიც აჰყვა მათ და იგრიალა—„არა არ გვინდა“. ასევე მოიქცა ხალხი ამას წინად ყრილობაზე, როდესაც თანხმობა [illegible] და კანცელარიისათვის ახალი შენობის აგებაზე. მაშინაც ორმა [illegible] იყვირა და ხალხიც ჩვეულებრივად აჰყვა. ამის წყალობით-კი ეხლა 6000 მანეთამდის უხდება გადახდა. ბოლოს 7 მარტის ყრილობაზე ხალხმა აირჩია რამდენიმე კაცი და დაავალა მათ გაიგონ და მოახსენონ, თუ რამდენი დაუჯდება ორი ოთახის აშენება.

ვ—მე იმ—ი.

—

**ჭოტორი** (ქიზიყი). მეორე ზაფხული გამოვიარეთ. ქრისტეს შობისთვე-იანვარში ზოგიერთ ხეს თითქმის ყვავილი გამოუყვიდა, მაგრამ ბოლო დროს ზამთარმა კუდი მოიქნია: მოვიდა ზომიერი თოვლი თუმცა ისევ მალე გაქრა. წინა წლებში ჩვენ თვალებს არა თუ ქრისტეშობისთვე-იანვარში, მარტის ნახევრამდისაც ხეზე ყვავილი არ უნახავს.

კეთილი საქმე იშვიათია, ამიტომ უმნიშვნელო რასმესაც ვერ დავტოვებთ აღუნიშვნელად. ამ ორი წლის წინად გ. კრაწაშვილი არჩეულ იქნა ეკლესიის მნათედ. მან ეკლესიის გარშემო გააშენა რიგზე ხეხილი, შემოავლო გარშემო თხრილი და ჩადგა ერთ სართულიანი სახლი. ეს, რასაკვირველია, ეკლესიის შემოსავლით, მაგრამ ამასაც შრომა უნდოდა.

ჭოტორი სიღნაღს აკრავს, მას ეკუთვნის, ამიტომ თამამად შეგვიძლიან ქალაქად ჩავთვალოთ, მაგრამ ქალაქის ელფერი სულ არა აქვს. უსწორ-მასწორო და მეტად უსუფთაო გზებია. პატარა წვიმის დროსაც-კი ისეთი გუბეები დგება ხოლმე, რომ გავლა შეუძლებელი ხდება. სიღნაღის ქალაქის თვითმმართველობა სულ არა ზრუნავს ჩვენზე, თუმცა გადასახადს გვახდევინებს. აქაური მამანი ძალიან ცოტას ფიქრობენ გონებრივ საზრდოზედაც. სული ეხუთება, გული უბოროტდება ადამიანს, როდესაც მოზარდებს ჰხედავს, გარყვნილების მორევში ჩაფლუ-

# კოცნა პირველი და უკანასკნელი

დრამატიული მინიატურა 1 მოქმედ.

**გრიგოლ გესი.**

(დასასრული *)

**ფედ.** გეტყობა უკანასკნელ წერტილამდის მისულხარ.. ეხ... უბედური ხვედრის შვილები ვართ. (კარგა ხნის ფიქრის შემდეგ გადაჭრილად ამბობს) არა, არ შეიძლება... ეს ადამიანად უნდა გამოვიდეს. (მანიას) ყური დამიგდე.. მე საკუთრიოდ არ გამოვიპარე ციმბირიდან... წინადაც გამწარებული ვიყავი, მაგრამ ეხლა, როდესაც ჩემი თვალით დავინახე ადამიანის გაშმაგება, ნამდვილ ჯოჯოხეთად გადვიქეცი... ციხეში სულ ერთიანად გავხალისდი. გულში ღრმად ჩამენერგა შურისძიება და გამოვეშურე აქეთკენ ნამდვილ მებრძოლად. მე რა ღონე მაქვს? აი ჩემი ხელი, დახედე ჩემ თითებს: ნამდვილი ჩხირებია. ამათ სათითაოდ ბავშვიც კი მომტეხავს, მაგრამ თუ ეს თითები მუშტად შევაკუმშე, მაშინ ძალას წარმოადგენს. ჰო და მეც მუშტად გადავიქეცი, მოვიკრიფე მთელი ჩემი ძალღონე და ვაჟკაცურად ვკაფავდი გზას უდაბურ ტყეში, ღრეში, მთებში; არც სხვებს ვზოგავდი და არც ჩემ თავს... მხოლოდ, აგერ ერთი თვეა მას შემდეგ, არ ვიცი გავცივდი, თუ რა იყო, დავატყე თავს, რომ ძალა მაკლდება და ვთქვი, არ შეიძლება, თუ არ დავეშურე-მეთქი, და შურდულივით გამოვექანე... აჰა, ეხლა აქა ვარ, მაგრამ აღარავინ დამხვდა. ჩასწყდა ჩემში უკანასკნელი ძაფი იმედისა—დღეის შემდეგ მე მუშაობისათვის მკვდარი ვარ... მხოლოდ ერთი რამ არ ვიცოდი, არ ვიცოდი, რა ნუგეში და სიხარული მომელოდა მე აქ. აი ის, ჩემი სიცოცხლე, ჩემი ნუგეში, აი ჩვენ ამისთვის ვიბრძოდით... ეგენი უფრო ადვილად გაიკვლევენ სიმართლისაკენ გზას, ეგენი დაამსხვრევენ სიბნელის ბორკილებს... მე კი, მე, მამამ... ცოდვები უნდა მოვინანიო და, უპირველეს ყოვლისა, შენ წინაშე... მე შენ არ გაფასებდი, არ გიფრთხილდებოდი, მაპატიე, ჩემო კარგო...

**მან.** რას ამბობ, ფედია, რა დაგემართა? მე შენ პატიებასა მთხოვ?

**ფედ** ჩემგან დაუჯერებელია განა?! ეხ, მანია, ადამიანის გულს აგრე ადვილად ვერ გაიგებ, ბევრი სინაზეა იქ, რომელიც ბრძოლის დროს მერწმუნე, მანია, ციმბირში ყოველთვის კეთილი გულით გიგონებდი.

**მან.** საბრალო, ბევრი იტანჯე განა ციხეში? ავადმყოფობდი? რა რიგად გახველებს. ფიქრი ნუ გაქვს, ეგ ადვილი მოსარჩენია... აი, აქვე ახლოს ექიმი დედაკაცია, ხვალ იმასთან გავიქცევი და წამალს გამოვართმევ, ძლიერ მოგიხდება... ეხ, რომ იცოდე უშენოთ რამდენი ვიტანჯე! შიმშილ-წყურვილი, გაჭირვება, დარდი და მწუხარება ერთად უფრო ადვილი ასატანი ყოფილა... მაგრამ ამაზე შემდეგ ვილაპარაკოთ (ადგება). ეხლა კი დაწექი და დაიძინე. საცაა გათენდება და ჩემ გასაღვიძებლად დიმიტრიც მოვა (ფედის წამოხტება) ნუ გეშინიან, დაგმალავ... დაწექი, მოისვენე. (აგებს ჩვრებს გედელთან) მოიქანცე განა? ხვალ სამუშაოდან ადრე დავბრუნდები... დაწექი, დაიძინე... სად მიხვალ?

**ფედ.** (ფანჯარაში ფრთხილად გაიყურება) შენ ამბობ, რომ დიმიტრი მალე მოვა?

**მან.** ჰო, უეჭველია, ეხლა მალე მოვა... ნუ გეშინიან, ის აქ არ შემოვა, მხოლოდ ფანჯარას დამიკაკუნებს.

**ფედ.** მოიცა... მანია, შემომფიცე, გესმის—შემომფიცე, რომ ყველაფერს აასრულებ, რასაც გეტყვი.

**მან.** რა ვქნა, რისთვის უნდა შემოგფიცო?

**ფედ.** მაგას მალე გაიგებ... აბა,— დაიფიცე ღმერთი, შენი სული, შვილი, ერთი სიტყვით, ყველაფერი, რომ აასრულებ!

**მან.** ღმერთო ჩემო, ეგ რაღა მოიგონე!

**ფედ.** ეხ, შემომფიცე მეთქი ჩქარა, მეტი დრო აღარ არის!..

**მან.** კარგი, კარგი... გეფიცები.

**ფედ.** ყური დამიგდე: შენც ხედავ, რომ ჩემი სიცოცხლის დღენი დათვლილია... ბევრი, ბევრი შემოდგომამდის მივაღწიო...

**მან.** რაებს ამბობ...

**ფედ** მე უკეთ ვიცი... არა ერთი ამისთანა მაგალითი მამხდარა ჩემ თვალ-წინ,.. ჰო, გამიგონე.., ჩვენ პაწია შვილს უნდა უეჭველად ვუპატრონოთ, უიმისოდ დაიღუპება სილატაკეში... მარტო შენ ვერას გახდები... აკი სთქვი: ბევრჯერ თავის მოკვლა დავაპირეო... ჰო და რა ეშველება მერე ამ საბრალოს? სხვის კერაზე ნაგდებ-ნათრევმა, სხვის ხელში შემაცქირალმა ადვილად შესაძლებელია შავ რაზმშიაც ამოჰყოს თავი. ამიტომ მე ყველაფერი მოვიფიქრე. უდაბნოში მე ერთი კეთილი მეგობარი მყავს.. მოიცა... მომეცი ფანქარი, აბა ჩქარა!..

**მან.** ღმერთო, შენ მიშველე... აჰა...

**ფედ.** აი, აქ დავწერ იმისს ადრესს (გადმოაბრუნებს „ტაბურეტკას“ და ძირზე სწერს). თუ როგორა ნახავ და რომელ სადგურზე უნდა იყიდო ბილეთი,—აქ ყველაფერი სწერია. იმისმა შვილმა ჩემ ხელში დალია სული. ის მიგიღებს... უამბე ყველაფერი,—ყოველივეს გაიგებს. აქ, ქალაქში, უეჭველად დაიღუპები... იქ კი უკეთ იცხოვრებ... იქ ხალხი შედარებით თავისუფალია, სიცოცხლითა და ძალ-ღონით სავსე. იყიდე პატარა მიწა, ააშენე ზედ პატარა ქოხი და იცხოვრე ადამიანურად.

**მან.** რაებს ამბობ, ადამიანო, რითი რა უნდა ვიყიდო?!.

**ფედ.** ყური დამიგდე... (აქეთ-იქით იყურება) ღმერთმა ნუ ქნას, რომ მე ეხლა აქ მიპოვნონ... ყველაფერი დაიღუპება... კარგად გაიგონე, რაც გითხრა: მუდამ გახსოვდეს ჩვენი შვილი. შესწირე თავი მაგის კეთილდღეობას, რიგიანი სწავლა მიაღებინე. ჩვენი უბედურება მხოლოდ ჩვენივე სიბნელისა და შეუგნებლობისაგან წარმოსდგება. განუმტკიცე ხასიათი. დეე, პატარობიდანვე იცოდეს, რომ ადამიანია და არა მონა, პირუტყვი, მხეცი. ცხოვრებას არ დაემონოს, არ გაექელვინოს იმათ, ვინც ღვთისა და ადამიანის კანონებს ფეხ-ქვეშა სთელავს. შეებრძოლოს უსამართლობას, გაუმკლავდეს სიბოროტეს და პირნათლად აასრულოს ადამიანის დანიშნულება. მე მსურს, რომ ჩემმა სისხლმა და ხორცმა მაინც ამოისუნთქოს ამ ქვეყნად თავისუფლად. ჩვენ თუ არა, დეე, ჩვენმა შვილმა მაინც იგემოს ის სიტკბოება, რომლის გამოც ჩვენ დავიტანჯენით. ეხლა კი ყური დამიგდე: მე ბევრი რამ ჩამიდენია და, თურმე ნუ იტყვი, მთავრობას ისეთ საშიშარ კაცად მივაჩნივარ, რომ ხუთასი მანეთი დაუნიშნავს იმისთვის, ვინც ჩემ თავს დააჭერინებს... დღეს ჩემი შვილი რძითა და პურით გამიმასპინძლდა, ამიტომ მეც მინდა სამაგიეროდ მემკვიდრეობა დავუტოვო... მიხვდი?

**მან.** რა მემკვიდრეობა, რას ამბობ?

**ფედ.** გასწი ეხლავე და პოლიციას შეატყობინე, რომ ამა და ამ კაცს რომ დაეძებთ, იგი უწინ ჩემი საყვარელი იყო, ეხლა ჩემთან არის და შეგიძლიანთ უიარაღოთ შეიპყროთ, მე კი გაცემისათვის დანიშნული ფული მიბოძეთ-თქო.

**მან.** რაო? რას ამბობ? ხომ არ გაგიჟდი?!

**ფედ.** სრულიადაც არა... პირიქით, ყოველივე კარგად ავწონ-დავწონე: მეტი მალვა აღარ შემიძლიან... სულ ერთია, დღეს თუ ხვალ დამიჭერენ და 500 მანეთი ვილაც ოხერს რათ უნდა ერგოს?

**მან.** როგორ? შენზე ვიჯაშუშო? არასოდეს!..

**ფედ.** არა, შენ კი არა, მე თვითონ. ჩემი სურვილია, ჩემი ნებაა... აბა მაკოცე და მერე ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

**მან.** ფედია, ფედია, რას მეუბნები მაგას, რას მიშვრები, რა გზაზე მაყენებ! მერე რაღა სიცოცხლე იქნება ჩემი სიცოცხლე. არა, არ შემიძლიან, თავს მოვიკლავ და მაგას კი არ ჩავიდენ.

**ფედ.** ჯერ შვილი დააბინავე და მერე, თუ გინდა, ეგრეც მოიქეცი: საიქიოს ერთმანეთს უფრო ადრე შევხვდებით... აბა, ნუღარ იგვიანებ.

**მანია.** როგორ? ეხლავე წავიდე, ეხლავე?

**ფედ.** ამ წუთშივე. ამისთანა საქმეში დროს არ ჰკარგავენ.

**მან.** ვერ წავალ, ვერა, რაც გინდა ისა ჰქენი. ვერ წავალ.

**ფედ.** მანია, ფიცი, ფიცი, დაგავიწყდა?

**მან.** (ფეხებში ჩაუვარდება). ფედია, გემუდარები, ნუ ჩამადენინებ ასეთ საშინელ საქმეს!..

**ფედ.** (გაჯავრებული). სისულელეს ამბობ, და მეტი არაფერი! მაშ მე თვითონ წავალ...

**მან.** მოიცა... ღმერთო, შენ მიშველე! როგორ მოვიქცე, რა ვუთხრა?

**ფედ.** ჩემს ოთახში სძინავს-თქო და მეტი არაფერი.

**მან.** იქამდის მგონი ვერც კი მივატანო. დედაო ღვთისაო!..

**ფედ.** (მაგრა მოეხვევა) აბა ღმერთი იყოს შენი შემწე (ფანჯარაში ისმის კაკუნი).

**მან.** (ჩუმათ) ეს მიტრუა... (მაღლა) მესმის.

**ფედ.** არ დამინახა?.

**მან.** არა მგონია... წავიდა..

**ფედ.** (მიიყვანს კარებთან) აბა, გაიქე ჩქარა! (დიდი ხნის სიჩუმის შემდეგ შვილს მიუბრუნდება.) ჩემო გვრიტო, იყავ ბედნიერი... იბრძოლე თავისუფლებისა და სიმართლისათვის... გიყვარდეს ღარიბი, გიყვარდეს მშრომელი ხალხი. მე თუ ვერ ვეღირსე სინათლეს, შენ მაინც მოესწარ. მამის ლოცვა-კურთხევა მიგიძღოდეს წინ...

**მან.** (შემოირბენს) ფედია, თავს უშველე! აი აქედან, მარცხნივ ეზოს კარებს პოლიცია მოადგა...

**ფედ.** როგორ მოხდა მერე ასე მალე?!

**მან.** მიველ თუ არა ქუჩის შესახვევთან, უკანვე გამოვბრუნდი... უცბად პატრულს წინ შევეხეჩე... თითქოს ეშმაკმა წამკრა თავშიო... და უფროსს ყველაფერი ისე გადავეცი, როგორც შენ დამარიგე. მაშინათვე წამომყვნენ. ეხლა ეზოს კარებთან დავტოვე... ვუთხარ „გავიგებ, სძინავს თუ არა მეთქი“, და გამოვექანე შენსკენ... წადი, გაიქეცი, ფედია, თავს უშველე!..

**ფედ.** სისულელეა, ჩემო კარგო! საქმე მშვენივრად მიდის... მტკიცედ იდექ შენს სიტყვაზე. აბა, მშვიდობით, მანია.. გაუფრთხილდი შვილს.. რომ გაიზარდება, უამბე მამის თავგადასავალი, თავს გაუფრთხილდი... (შვილს) მშვიდობით, ჩემო ძვირფასო, იქნება მე ჩემის ტყვეობით, შენ თავისუფლება მოგანიჭო... მშვიდობით, მოდიან!?.. (კარებთან) კეთილი.. (ჩქარის ჩურჩულით) აბა ჩქარა, იქითკენ გადადი!.. (მაღლა) მობრძანდით!..

ქ. შათირიშვილი.

ფარდა

*) იხ. „დროება“ N 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლთ. ახალგაზრდობა ძალიან შეეჩვია ლოთობას, უთმარს და ბანქოს. ყოველ უქმე დღეს ნახავთ შეკრებილ მოთამაშეთ ან სამიკიტნო დუქნებში ან რომელსამე მყუდრო ადგილას. აი, ასე მიმდინარეობს ჩვენი ცხოვრება.

**ქიტორელი.**

—

**ს. საგარეჯო** (გარე კახეთი). იანვრის პირველიდან ს. საგარეჯოში დანიშნეს მთავრობის მამასახლისათ გ. ვაჩნაძე. ნათქვამია, დოს შეშინებული მაწონს უბერავდაო, წინანდელ მამასახლისებისგან შეშინებული ხალხი ვაჩნაძესაც ეჭვის თვალით უყურებდა და ჰფიქრობდა, ვაი თუ ესეც სხვებივით მოიქცესო, მაგრამ ხსენებული მამასახლისი ჭერ-ჭერობით არა ჰგავს წინანდელ მამასახლისებს.

მოსვლის უმალვე ვაჩნაძე მხნედ შეუდგა აქაურ აყრილ საქმეების მოწესრიგებას: გადასინჯა შემოსავალ-გასავლის დავთრები და რადგან მრავალი ფული აღმოჩნდა გაფლანგული, საჭიროდ სცნო დაცვლა ძველი მზრუნველებისა, ხაზინადრის და ნაცვლებისა. საქმის უნუგეშო მდგომარეობა შეატყობინა მან მომრიგებელ შუამავალს და სთხოვა, მოსულიყო და მოეხდინა ახალი არჩევნები. მარტის 7-ში მართლაც მოვიდა საგარეჯოში შუამავალი თავ. ვაჩნაძე. ყველანი დაინტერესებულნი იყვნენ საქმის მდგომარეობით და აყარებული ხალხი შეიკრიბა ურილობაზე. თავ. ვაჩნაძემ წაუკითხა ხალხს სია დახარჯულ ფულისა. წვრილ ხარჯების გარდა მარტო საწერ ქაღალდისთვის შეტანილი იყო გასავალში 300 მანეთზე მეტი. ტფილისიდან მოსულ მოხელეთა გასამასპინძებლად ერთი ღამის დანახარჯი წარმოადგინეს 71 მ. ანგარიშის შემდეგ კი აღმოჩნდა დახარჯული დაახლოვებით 15 მან. შემდეგ აირჩიეს ახალი მზრუნველები და ნაცვლები.

არჩევნების წინა დღეებში სოფლის მოხელის თანამდებობის მოტრფიალენი სადილებით უმასპინძლდებიან ხოლმე ხალხს, რომ ურილობაზე მათ სასარგებლოდ ილაპარაკონ. ასეთ მოვლენას ყოველთვის ცუდი შედეგი მოსდევს და ისეთს დარჩება ხოლმე მოხელეობა, რომელიც სრულიად გამოუსადეგარია საზოგადოებისათვის. ეხლაც ასე იყო და ურიგო არ იქნება ამას ყურადღება მიექცეს. ს. საგარეჯოს შემოსავალ-გასავალი მზრუნველების ხელშია და რადგან ხშირად ისეთ საქმეზე იფლანგება ფული, რისაც მოვალე არ არის საზოგადოება, მზრუნველთა მოქმედების თვალ-ყურის დასაჭერად საზოგადოებამ აირჩია სამი საიმედო კაცი, ინტელიგენტი, რომელთაც დავალებული აქვთ დაესწრენ მზრუნველთა კრებას, როდესაც აკეთებენ რაიმე საზოგადოების შესახებ საქმეს.

მამასახლისის მეთაურობით გააკეთეს აქ გზები. განზრახვა აქვთ გაიყვანონ საგარეჯოდან ივრის ხიდამდის ისეთი გზა, რომ მიმოსვლა არ უჭირდებოდეს ხალხს. გზა თუმცა არის, მაგრამ უვარგისია და ლაფების დროს თითქმის შეუძლებელი ხდება ურმით სიარული, გარეჯელებს კი მინდორი მოსავლის აქვთ და ამ გზით სარგებლობენ.

ბევრჯელ ყოფილა ლაპარაკი თვალთხევის გამაგრებაზე, რომელმაც ამ რამდენიმე წლის წინად სრულიად გაანადგურა ერთი ნაწილი სოფლისა, მაგრამ გარეჯელები ვერ ეღირსნენ ერთ ისეთ მოთავეს, რომ იკისროს ეს საქმე და გადაარჩინოს სოფელი დაღუპვისაგან. თუ არ გამაგრდა თვალთხევის მხარე, სოფელს დიდი საფრთხე მოელის.

**გარეჯელი.**

# შორეულ აღმოსავლეთი

**ომის მოლოდინი.**

ხარბინიდან ატყობინებენ რუსულ გაზეთებს: „აქ ხელ-ახლად დაიწყეს ომზე ლაპარაკი. ჩინელების პოლიტიკა და მეტადრე მათ მიერ ჯარის გაყიდვის აკრძალვა, ძლიერ აფიქრებს აქაურ რუსებს. ადგილობრივი რუსული პრესა აღნიშნავს, რომ შორეულ აღმოსავლეთის ცაზე ხელ-ახლად გროვდება „შავი სეტყვის ღრუბლებით“, და რომ რუსეთის საზღვრები მეტად სუსტადაა დაცულით. აქაური ხალხი სწორედ იმ გუნებაზეა ეხლა, როგორზედაც იყო რუსეთ-იაპონიის ომის წინ.

რუსის რკინის გზაზე საჩქაროდ გააძლიერეს პატრულები და დარაჯები. ამბობენ, ეს ღონისძიება იმიტომ მიიღეს, რომ ჩინეთიდან საშიში ცნობები მიიღესო.

**ჩინეთ-ამერიკის ხელ-შეკრულობა.**

„რეჩ“-ს ატყობინებენ მუკდენიდან: „სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ ამ თვის გასულს პეკინიდან ვაშინგტონში წავა შეერთებულ შტატებში ელჩად ჩამოყვი უ ტინ ფანი, რომელსაც მინდობილი აქვს საბოლოოდ დასდვას ამერიკის მთავრობასთან საკავშირო ხელ-შეკრულობა. ეს ხელ-შეკრულობა უკვე პრინციპიალურად მოიწონეს ორმავე მთავრობამ. ხელ-შეკრულობის ერთ-ერთ მუხლით, შეერთებული შტატები მოვალენი არიან ფლოტით დახმარება გაუწიონ ჩინეთს, თუ რომელიმე სახელმწიფო დაეცემა მას. როგორც ისმის, ახალ კავშირს გერმანიაც დაჰპირდა ზნეობრივ დახმარებასო.

**ჩინეთის პროვინციალურ კომიტეტების შუამდგომლობა.**

შენჩენისა, გირინისა და ხაილუნჩანის პროვინციების კომიტეტების წარმომადგენელნი შეიკრიბნენ და თხოვნა გაუგზავნეს პეკინში მთავრობას, პარლამენტი ამავე წელს გახსენით და უთუოდ ეცადენით, რომ ჩინეთს უკან დაუბრუნდეს ის ადგილები, რომლებიც უკანონოდ წაართვეს სხვა სახელმწიფოებმაო.

# ოსმალეთი

**„ტანინ“-ის აზრი რუსეთ-ავსტრიის შეთანხმებაზე.**

ოსმალეთის მთავრობის ოფიციალური გაზ. „ტანინ“-ი სასტიკად არჩევს ავსტრია-რუსეთის შეთანხმების მუხლებს.

გაზეთი თავდაპირველად ამტკიცებს, რომ ავსტრიასა და რუსეთს არც შეეძლოთ სხვა პირობით შეთანხმება, მათ აუცილებლად უნდა ეკისრათ ბალკანეთის სახელმწიფოთა ეხლანდელ მდგომარეობის დაცვა, რადგან ამ მდგომარეობის დარღვევა უთუოდ გამოიწვევს მკაცრ პროტესტს ბალკანეთის სახელმწიფოთა და დაინტერესებულ დიდ სახელმწიფოთა მხრივ.

ყველაზე დაწვრილებით გაზეთი არჩევს შეთანხმების იმ მუხლს, რომლის ძალით ავსტრიამ და რუსეთმა დახმარება უნდა გაუწიონ ოსმალეთის ახალ წეს-წყობილებას და შენიშნავს, რომ ოსმალეთის მთავრობას სრულებით არა სჭირია უცხო სახელმწიფოთა შეწყნობა. რუსეთი და ავსტრია სულ ტყუილ-უბრალოდ შეიწუხებენ თავს ოსმალეთზე ფიქრით; მათი მზრუნველობა სულ მეტი იქნება. ოსმალეთის კონსტიტუცია სხვისა დაუხმარებლადაც უზრუნველჰყოფს ოსმალეთის ყველა მოქალაქის თანასწორობასო. დასასრულ, გაზეთი გულმოსული სწერს: „ჩვენ იძულებულნი ვართ გამოვაცხადოთ, რომ ჩვენის უფლების უზრუნველყოფა უცხო სახელმწიფოთა მიერ სულ მეტად მიგვაჩნია. რუსეთი და ავსტრია არ იშლიან იმ ქცევას, რომელსაც ისინი შეაჩვია ოსმალეთის ძველმა წესწყობილებამ. ეს ორი სახელმწიფო წინანდებურად მედიდურად ეკიდება ოსმალეთს და დღემდე ერევიან მაკედონიის საქმეებში. მათი დიპლომატები ისე შეეჩვივნენ ამნაირ ქცევას, რომ ეხლა ახალ ოსმალეთსაც ძველებურად ექცევიან“.

ოსმალეთის მთავრობის ოფიციოზის აზრი თუმცა არ შეეფერება „ძალთა რეალურ განწყობილებას“, მაგრამ მაინც დიდი ყურადღების ღირსია, რადგან „ტანინ“-ი გამოსთქვამს ოსმალეთის მთავრობისა და ახალგაზდა ოსმალთა წრეების აზრს. („რ. ვ.“)

# სპარსეთი

**გერმანიის საელჩოს ნოტა.**

„ბაქუ“-ს საკუთარი კორესპონდენტი დეპეშით იუწყება თეირანიდან: „სარწმუნო წყაროდან შევიტყვე, რომ გერმანიის საელჩომ ნოტა ჩააბარა რუსეთის საელჩოს თეირანში. ამ ნოტაში ლაპარაკია რუსეთის ჯარის ყოფნაზე სპარსეთში და სხვათა შორის ნათქვამია, რომ თუ ვინიცობაა რომელიმე სახელმწიფოები სპარსეთს გაიყოფენ, მაშინ გერმანია და ავსტრია რუსეთის პოლონეთს გაინაწილებენ ერთმანეთშიო“.

**რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულობა**

იმავ გაზეთს ატყობინებენ თეირანიდან: „15 მარტს გაუთავდა ვადა იმ რუსეთ-სპარსეთის ხელშეკრულობას, რომლითაც სპარსეთის მთავრობას აღკრძალული ჰქონდა რკინის გზების გაყვანა შიგ სპარსეთში. რუსეთს ახალი შეკრულობა არ დაუდვია სპარსეთთან. ამ ჟამად ყველა კაპიტალისტს შეუძლიან კონცესიის მიღება. რუსეთის პრივილეგიები მთლად მოისპო.

# რუსეთი

✦ **საეკლესიო სკოლების მასწავლებლები.** „რუსკ. ვედ.“ იუწყება: სინოდთან არსებულმა სამოსწავლო კომისიამ დაადგინა საეკლესიო სკოლების მასწავლებლები პენსიით უზრუნველჰყოს. კომისიამ მიიღო საპენსიო წესდება, რომელიც ამ მოკლე ხანში სინოდს წარედგინებაო.

✦ **პურიშკევიჩის დაცვა.** უკვე ვწერდით, რომ პურიშკევიჩის სადგომს პოლიციელები იცავენო. სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით პურიშკევიჩის სახლს მორიგებით იცავს 27 პოლიციელი.

✦ **სათათბიროს კომისია.** სახელმწიფო სათათბიროს პიროვნების ხელშეუხებლობის შესახებ კომისიას დაუდგენია, შეატყობინოს სათათბიროს, რომ მას არ შეუძლიან ერთი თვის განმავლობაში განიხილოს პიროვნების ხელ-შეუხებლობის შესახებ კანონ-პროექტი. კომისიის მომხსენებლის, ბარონ მეიენდორფის, სიტყვით, კომისია კანონ-პროექტსა შემოდგომამდე ვერ დაამზადებს, რადგან კანონ-პროექტი ძალიან რთულ საგანს ეხება და მიუხედავად ამისა, მთავრობა კომისიას არავითარ დახმარებას არ უწევს.

✦ **თვითმკვლელობა.** 17 მარტს ქალაქ კრონშტადტში თავი მოუკლავთ 15 წლის ქალს ივანოვას და მის მეგობარ ქალს, 17 წლის ტეპლოვაა. ივანოვა და ტეპლოვა ერთ ოთახში სცხოვრობდნენ. ორთავეს ერთად გადაუწყვეტიათ თავის მოკვლა, რაიც უკვე სისრულეში მოიყვანეს. აღსანიშნავია, რომ უკანასკნელ დროს რუსეთში ძალიან გახშირდა თვითმკვლელობა. საინტერესო კიდევ ის არის, რომ რამდენიმე კაცი (ორი, ან სამი) ერთად სწყვეტავენ თავი მოიკლან და კიდევაც სისრულეში მოჰყავთ თავიანთი განზრახვა.

✦ **ბაკაის საქმე.** მკითხველს ეხსომება ბაკაის სახელი. ბაკაი ერთ დროს პროვოკატორი და დამცველ პოლიციის აგენტი იყო და შემდეგ აზეფის საქმის გამოქვეყნებაში დიდი როლი ითამაშა. ამჟამად ბაკაი საზღვარ-გარედ სცხოვრობს და დამცველ პოლიციის სხვა და სხვა საიდუმლოებებს აქვეყნებს. სხვათა შორის, ბაკაიმ გამოაქვეყნა ვინმე ტატარინოვის პროვოკატორული მოქმედება. ბაკაის სიტყვით ტატარინოვის შესახებ ცნობები დეპარტამენტის მოხელეებმა მისცეს. ტატარინოვი ამ რამდენიმე ხნის წინედ ვარშავაში მოჰკლეს. „უტრ როსსიის“ სიტყვით პოლიციის დეპარტამენტის ვიცე-დირექტორი ვისარიანოვი უკვე შესდგომია იმას გამოძიებას, თუ დეპარტამენტის რომელი მოხელე აძლევს რევოლიუციონერებს პოლიციის აგენტების შესახებ ცნობებს.

✦ **მცირე სტატისტიკა.** ყველას ეცოდინება, რომ რუსეთში აუარებელ არაყს სვამენ. ამის დასამტკიცებლად მოვიყვანთ ერთ პატარა ცნობას, მარტო სიმბირსკის გუბერნიაში 1908 წელს დაულევიათ 971,814 ვედრა არაყი, სულ 9,718,640 მანეთის არაყი. თუ მივიღებთ მხედველობაში სიმბირსკის გუბერნიის მცხოვრებთა რიცხვს, გამოვა, რომ თვითეულ სულს დაულევია ორი ვედრა არაყი.

✦ **ფულის გაფლანგვა.** გაზეთების სიტყვით, პეტერბურგის ალექსანდრე ნეველის ლავრაში აღმოუჩენიათ, რომ ლავრის ხაზინადარს გაუფლანგავს 70,000 მანეთი.

✦ **შუამდგომლობა.** როგორც ვიცით შინაგან საქმეთა მინისტრის მოთხოვნით პეტერბურგის ელექტრო-ტეხნიკურ ინსტიტუტიდან დაითხოვეს სამი სტუდენტი, რომელითაც ბრალდებოდა სტუდენტთა კრების მოწვევა და პურიშკევიჩისთვის პროტესტის გამოცხადება. ინსტიტუტის პროფესსორთა საბჭოს დაუდგენია, იშუამდგომლოს, რომ სამივე სტუდენტი უკანვე მიიღონ.

✦ **დაპატიმრება** ქალაქ პეტროკოვში დაუპატიმრებიათ ნიჟნი-ნოვგოროდის გუბერნატორად ნამყოფი ფრედერიკსი. ფრედერიქს ბრალდება გურკო-ლიდვალის საქმეში მონაწილეობის მიღება და ქრთამების აღება. ფრედერიქსა მთავრობა დიდი ხანია დაეძებს.

**ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში.** „კასპი“ ხარკოვიდან დეპეშით ატყობინებენ: ოლქის მზრუნველის ბრძანებით დისციპლინარულ სამართალში მისცეს ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის 250 სტუდენტი, რომელთაც ბრალდებათ პურიშკევიჩის საწინააღმდეგო კრების გამართვა. ამას გარდა, მზრუნველის ბრძანებითვე დაითხოვეს კრების თავმჯდომარე სტუდენტი.

✦ **გაუნათლებლობის შედეგი.** „რ. ვედ.“ იალჩიკიდან ატყობინებენ: სოფელ იალჩიკაში ღორების ჭირი გაჩნდა. მცხოვრებლებმა განიზრახეს ავადმყოფობის სოფლიდან განდევნა. ამისთვის შეაბეს მარხილში ხუთი ცხენი, მარხილში ჩასვეს ბებერი დედაკაცი, რომელსაც სოფლელების აზრით, ღორის ჭირი უნდა წარმოედგინა. ამას გარდა მარხილში ჩაჯდა ხუთი კაცი და გაემგზავრნენ სოფელ ბაიტერიაკოვოში, სადაც სოფლელებს ღორის ჭირი უნდა დაეტოვებინათ. როდესაც სოფლელები ბაიტერიაკოვოს მიუახლოვდნენ, ხუთმა კაცმა ბებერი დედაკაცი სოფლის გარედ დასტოვეს და თვითონ კი მარხილით სოფელში შევიდნენ. გლეხებს სოფლისთვის სამჯერ უნდა შემოეარათ და შემდეგ ბებერი დედაკაცის თანხლებით ფეხით უნდა წასულიყვნენ შინ. ბაიტერიაკოვოს მცხოვრებლებმა ყურადღება მიაქციეს ამ არა ჩვეულებრივ მოვლენას, ცხენების ფაფრები და ძუა ერთი-ერთმანეთში იყვნენ გადახლართულნი, გლეხებსაც რაღაცნაირად ეჭირათ თავი. როდესაც ბაიტერიკოველებმა გაიგეს რაშიც იყო საქმე, მისცვივდნენ იალჩიკელებს და უნდოდათ მათი ცემა, მაგრამ საქმეში ზოგიერთი პირები ჩაერივნენ და იალჩიკელებს თავი დაან ასცდათ ბეგვა და ცემა. იალჩიკელები ძალიან დაღონებულნი არიან, რომ ღორის ჭირი ბაიტერიკოვში არ დასტოვეს!!!

# წერილი რედ. მიმართ

ჟურნალ „მათრახ-სალამურის“ მე-8 ნომერში მოთავსებული შენიშვნა, ვითომ მელიტონი (მღ. მელიტონ ქავჯარაძე) გლოვდეს ინსპექტორ გორგასლიძის გადაყვანას და იმავე ჟურნალის მე-10 ნომერში მოთავსებული კარიკატურა, რომელშიაც მ. მელიტონი ცრემლების ღვრით და გვირგვინით აცილებს გორგასლიძეს, ცილის წამებას წარმოადგენს. გორგასლიძე არ „აბარგულა“ და რომც „აიბარგოს“, მ. მელიტონისთვის ეს არც სამხიარულო იქნება და არც სამგლოვიარო, რადგან დარწმუნებულნი ვართ მ. მელიტონ ქავჯარაძის სიმართლე, პატიოსნება და რაციონალური პედაგოგიური მოქმედება სრულიად არ არის დამოკიდებული ამა თუ იმ ინსპექტორის პიროვნებაზე; პირიქით მისი (მ. მელიტონის) ზემოხრე მოხსენებული თვისებები ისე თვალსაჩინოა, რომ მფარველები და ქომაგები არა სჭირია მას. ამისთვის ჩვენ უკმაყოფილებას ვუცხადებთ იმ კორესპონდენტს, რომელმაც, უთუოდ, პირად ინტერესების გამო შეცდომაში შეიყვანა ჟურ. „მათრახ-სალამურის“ რედაქცია და მით ყოვლად დაუმსახურებლად ჩირქი მოსცხო მ. მელიტონ ქავჯარაძის პატიოსან სახელს.

ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის (საბჭოს წევრნი) მასწავლებლები **გიორგი კენკაძე, ბიქტორ გრიგოლაშვილი, ნიკო შაფაქიძე, სეფე ბურჭულაძე, ივანე ნიჟარაძე, ომიან ნაკაიძე.**

—

ნება მიბოძეთ, თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა გამოვუცხადო ბ-ნთ ი. შვილიევს, გ. ბურდულს, ი. მაისურაძეს, ზ. კიკნაძეს და კ. გიორგობიანს, რომელთაც 30 მანეთის ქართული საყმაწვილო წიგნები და ჟურნალები შემოსწირეს კავკავის ქართულ სკოლის წიგნთსაცავს.

სკოლის გამგე **ტ. კახიძე.**

—

გთხოვთ თქვენი გაზეთის „დროების“ საშუალებით ნება მომცეთ, მადლობა გამოუცხადო სანდრო გრძელიშვილს და პლატონ გაჩეჩილაძეს, რომელთაგან მივიღე: პირველისაგან 14 ცალი ქართული წიგნი და მეორისაგან—8 ცალი სხვა და სხვა ქართული წიგნი მეტეხის ციხის სამკითხველოს სასარგებლოდ.

P. S. სხვა შემომწირველთ თავიანთ შემოწირულებანი ამავე სამკითხველოს სასარგებლოდ შეუძლიანთ გამოგზავნონ გაზეთ „დროების“ რედაქციის და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიის გამგე ავალიშვილის სახელზე.

მეტეხის ციხის ეკკლესიის მღვდელი **მიხეილ დეგიძე.**


◀ სრული პასუხის მგებლობა ▶

მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ საუკეთესოდ მოვაწყე

„ფეხსაცმელების სახელოსნო“

გვაქვს მზად შეკერილი ფეხსაცმელები ქალებისთვის, კაცებისთვის და ბავშვებისთვის საკუთარი ნამუშავარი—შევროსი, ხრომისა და სხვა მასალისა, აგრეთვე ვკერავთ შეკვეთით ზუსტად, მკვიდრად და დანიშნულ ვადაზედ. საქონლის სიკარგისათვის ვკისრულობ სრულ პასუხის მგებლობას. ადრესი: წყნეთის ქუჩა, სახლი ზითარცვისა N 28.

პატივისცემით ივ. ხვ. ბერძნიშვილი.

◀ სრული პასუხის მგებლობა ▶— (25—6.—9)


## კალენდარი

მარტი 31 დღე

ახალი სტ. 2 აპრილი — 20 — მიმარტ 21 დღისაა.

79 დღე წლის თავიდან. რჩება 286 დღე.

## შაბათი

| | |
|---|---|
| **ქართვ.** | მე-20 დღე დიდ-მარხვისა, ღირს. მამათა რომელნი მოისრნენ ლავარასა შინა წმ. საბასა. |
| **კათოლ.** | წმ. ალექსანდრესი და ვიკენტ. |
| **სომეხ.** | მე-20 დღე დიდ-მარხვისა, წმ. იოანე იერუსალიმელ. და სხვა. |
| **მაჰმად.** | შამბე 21 რ. რებიულ-ეველისა 1328 წ. ჰიჯრისა. |
| **ებრაელ.** | შაბათ, 22 რ მეორე ადარისა 5670 წ. ქვეყნ. შექმ. |


# განცხადებანი

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში

იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (6.—66)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ

**ხუთი მანეთი** საჩუქარი იმას, ვინც კნეინა დადიანს, მექევრის ქ., № 30, მიუტანს შავ საფულეს, რომელიც დაიკარგა უთუოდ ერევნის მოედანზე და ლორის-მელიქოვის ქუჩაზე. საფულის საიდუმლო განყოფილებაში ნიშნობის ბეჭდია. (2-1047-1)

—✦ **ბოთლები** ✦—

ღვინისა და ლიმონათისა 1/16 ვედრ., კარგი ხარისხისა, ახლად მიღებულ იქნა მრავლად ქ. ი. კასაბოვის საწყობს. მიაქ. ასი ცალი 7 მან., ათასი—68 მან.

წერილი ამ ადრესით უნდა გამოიგზავნოს: Тифлисъ, Армянскій базаръ, д. Кредитнаго О-ва, N 1. გიგორქ იაკობისძეს კასაბოვს. (2—201—1)

# ქუთაისში

◀ **კიწმარაშვილის და ამხ.** ▶

**თესლეულობის მაღაზიაში** მიღებულია სხვა და სხვა თესლეულობა ახალ ბოსტნეულის, ყვავილების და ბალახების: იონჯის, სამყურის და კოინდრისა. აქვე იყიდება საგანგებოდ დამზადებული ძმათა პასხალიდების თეთრი აბრეშუმის თესლი. მსურველთ კატალოგი უფასოდ ეგზავნებათ. (25—კვ—11)

# სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მსხიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9 1/2-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4 ს.

**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4-5 ს.

**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარს., კვირა 11—12 საათ.

**ბოგოლსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.

**ნოვიცკი**—ებ., ქალ., ყოველდღე 1—2.

**აბელედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12 1/2 საათ.

**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე, კვირის გარდა 4—5 საათ.

**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11 1/2—12 1/2 საათ.

**ასპიროვი**—ცხვ., ყელ., ყურ. 1—2 ს.

**ფუნდოევი**—ნერვ. და ელექტროთერ. ყოვ.-დღე 4—5 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის შრატით. (100—6.—23)

ვ. ყიფიანის დრამა

**სამეგრელოს მთავარი**

**ლევან**

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად გამოცემა გაზ. „დროების“ რედაქციისა და კ. მესხიევისა.

ფასი ორი აბაზი

იყიდება „დროების“ რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

დაიბეჭდა და იყიდება ქართულ ენაზე ჰერგარტ ჰაუპტმანის ცნობილი დრამა

● **ფეიქრები** ●

თარ. ივ. ახალშენიშვილის მიერ

წიგნში ჩართულია ავტორის სურათი და პ. კოგანის კრიტიკული განხილვა. ეს დრამა ბერლინის თეატრებში სამი წლის განმავლობაში ორასჯერ დახადგეს. დრამის მინაარსი აღებულია გასულ საუკუნის ორმოციან წლების გერმანიის მუშათა ცხოვრებიდან.

წ ი გ ნ ი ღ ი რ ს 50 კ ა პ.

მთავარი საწყობი წიგნისა არის მაღაზია „ა ლ ი ო ნ ი“-ს გამგე ვ. გადილიასთან.

პროვინციაში მსურველთ წიგნი გაეგზავნება ჩვენი ხარჯით. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Кирочная ул. N 9. Василію Гадилія. (10—6)

საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი

„ნაკადული“

(წელიწადი მეექვსე)

1910 წლის პირველ იანვრიდან 1911 წლის პირველ იანვრამდე მიეცემა ხელის მომწერლებს:

24 წიგნი მცირე წლოვანთათ. 12 წიგნი მოზრდილთათვის.

გარდა ამისა მიეცემა პრემიად საბავშვო უნივერსიტეტი (სამეცნიერო-პოპულარული ბიბლიოთეკა ბავშვებისათვის). 1. «დედამიწა და კუდიანი ვარსკვლავი»—ზღაპარი ევალდისა; 2. »მარჯნები».—ზღაპარი ევალდისა; 3. „თორმეტი და“—ზღაპარი ევალდისა; 4. ქართული მხატვრული ალბომი კუბიკებზე.

**ფასი ჟურნალისა:** წლიურად ხუთი მანეთი, ნახევარი წლით ორივე გამოცემა—სამი მანეთი; საზღვარ-გარედ: წლიურად—შვიდი მანეთი; მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—სამი მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—სამი მანეთი.

ხელის მოწერა მიიღება ტფილისში. „ნაკადულის“ რედაქციაში (გოლოვინის პროსპექტზე. 8. და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მაღაზიაში თავად-აზნაურობის ქარვასლაში).

◀ სამეურნეო ჟურნალი ▶

# მოსავალი

წელიწადი მეორე

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის. ჟურნალი გამოვა იმავე პროგრამით. რედაქცია ჰპირდება თავის ხელის მომწერლებს **რჩეულ მცენარეებ-ს საუკეთესო თესლის** გაგზავნას **უ ფ ა ს ო დ.**

თუ შესძლებს რედაქცია, ჟურნალის ხელის მომწერლებს წლის დამლევს გაუგზავნის აგრეთვე **უფასოდ** თითო **წიგნს-ბროშურას** მეურნეობის რომელსამე დარგიდან.

რედაქციის ადრესი: Тифлисъ, Барятинская 5. Редакція „Мосавали“.

ქ. შ. წერა კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში

# იყიდება

| | | |
|---|---|---|
| 1. | ი. ჭავჭავაძე. კრიტიკული წერილები | 25 კ. |
| 2. | ი. ჭავჭავაძე. პოლემიკური წერილები | 10 „ |
| 3. | ი. ჭავჭავაძე. ცხოვრება და კანონი | 25 „ |
| 4. | ი. ჭავჭავაძე. აი ისტორია | 35 „ |
| 5. | აკაკის სახსოვრად. საიუბილეო კრებული | 40 „ |
| 6. | აკაკი. თორნიკე ერისთავი | 35 „ |
| 7. | აკაკი. კრილოვის იგავ არაკები, სურათებით | 50 „ |
| 8. | აკაკი. ქუთათლის სიზმარი | 5 „ |
| 9. | აკაკი. ნაცარქექია | 10 „ |
| 10. | აკაკი. გოგია მეჩანგურე | 5 „ |
| 11. | ნ. ბარათაშვილი. ლექსები | 5 „ |
| 12. | ე. ნინოშვილი. გოგია უიშვილი | 5 „ |
| 13. | ე. ნინოშვილი. პალიასტომის ტბა | 5 „ |
| 14. | ა. ყაზბეგი. ელისო | 10 „ |
| 15. | ვაჟა-ფშაველა. ცრემლები, ლექსები | 50 „ |
| 16. | კარიჭაშვილი დ. საქართველოს მოკლე ისტორია. ნ. ს. | 40 „ |
| 17. | ნ. მარრი история грузіи | 25 „ |
| 18. | ი. ჯავახიშვილი, საქართველოს მეფე და მისი უფლება | 15 „ |
| 19. | ი. ჯავახიშვილი. საქარ. ეკონომიური ისტორია | 40 „ |
| 20. | ი. ჯავახიშვილი. ქართველ ერის ისტორია | 60 „ |

და სხვა ყოველ გვარი ქართული წიგნი.